რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო

ალ. ყაზბეგის გამზ. N12
0160, თბილისი, საქართველო
+995 32 277 90 90
Letters@mrdi.gov.ge

02 სექტემბერი 2024

MRDI N 01/1741

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსს
ბატონ ვასილ გედევანიშვილს

ბატონო ვასილ,

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს 2024 წლის 26 ივლისის №01/1438 წერილით გამოგზავნილი სკრინინგის შესახებ განცხადებასთან დაკავშირებით, თქვენი 2024 წლის 27 აგვისტოს N 21/9193 წერილით მოთხოვნილია რიგი საკითხების დაზუსტება, რომელიც დაკავშირებულია სტრატეგიის შინაარსობრივ ნაწილთან და ითვალისწინებს მასში დაცულ ტერიტორიებთან მიმართებით საკითხების დეტალურად ჩაშლას. ამასთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის პროექტები შემუშავებულია „პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავების, მონიტორინგისა და შეფასების წესის“ შესახებ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 20 დეკემბრის №629 დადგენილების შესაბამისად. სტრატეგიის პროექტში მაქსიმალურად არიდებულია სხვა სექტორულ სტრატეგიებთან აქტივობების გადაფარვები. რაც შეეხება შინაარსობრივ ნაწილს და სხვა უწყებების კომპეტენციის ფარგლებში განსახორციელებელ ღონისძიებებს, სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში აქტიურად იყვნენ ჩართულები „მაღალმთიანი დასახლებების განვითარების 2024-2030 წლების სტრატეგიისა და მისი სამოქმედო გეგმ(ებ)ის შემუშავებისა და განხორციელების მიზნით შექმნილი საკოორდინაციო საბჭოს“ წევრები, მათ შორის საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარმომადგენლები, რომელთა მოსაზრებები და კომენტარები სტრატეგიის შემუშავების პროცესში მაქსიმალურად იქნა გათვალისწინებული და საბოლოო პროექტები მოწონებული იქნა ამავე საბჭოს სხდომაზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გთხოვთ, განაახლოთ პროცესი სკრინინგის შესახებ ჩვენს განცხადებასთან (2024 წ. 26 ივლისის №01/1438 წერილი) დაკავშირებით და „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ 23-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, უმოკლეს ვადაში მიიღოთ გადაწყვეტილება, „საქართველოს მაღალმთიანი დასახლებების განვითარების სტრატეგია 2024-2030“ პროექტის სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების დაქვემდებარება/არ დაქვემდებარების თაობაზე.

დამატებით, გიგზავნით „საქართველოს მაღალმთიანი დასახლებების განვითარების 2024-2030 წლების სტრატეგიისა და 2024-2026 წლების სამოქმედო გეგმის“ ბოლო ვერსიებს.

დანართი: 73 (სამოცდაცამეტი) გვერდი და 1 Excel ფაილი.

პატივისცემით,

მზია გიორგობიანი

მინისტრის მოადგილე

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

დავით აღმაშენებლის გამზირი №150
0112 თბილისი, საქართველო
+995 32 2439503 / +995 32 2439510
info@nea.gov.ge
nea.gov.ge

04 სექტემბერი 2024

N 21/9457

სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს

გიგზავნით სააგენტოში შემოსულ რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს 03.09.2024 წლის N8835 წერილს, რომელიც ეხება ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით" გათვალისწინებული გარემოზე ზემოქმედების შეფასების სკრინინგის პროცედურის გავლის საკითხს.

გთხოვთ, უზრუნველყოთ კოდექსით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების/დაინტერესებული საზოგადოების მონაწილეობისა და ამ მიზნით შესაბამისი ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და საჯარო განხილვების ჩატარების უზრუნველყოფა.

იხ. დანართი

სოფიო არაბიძე

II კატეგორიის წამყვანი სპეციალისტი

საქმისწარმოების სამმართველო

https://edocument.ge/mea/public/#/9457-21-2-202409041527

		%
მეწარმეობა	35,406,000.00	98.2
	654,000.00	1.8
	36,060,000.00	1.2
ინფრასტრუქტურა	2,314,885,934.90	96.7
	47,979,777.00	2.0
	31,367,052.00	1.3
	2,394,232,763.90	76.5
სერვისები	358,087,183.69	51.1
	339,095,445.00	48.4
	3,150,000.00	0.4
	700,332,628.69	22.4
ჯამი	3,130,625,392.59	

დანართი 1

საქართველოს მაღალმთიანი დასახლებების განვითარების 2024-2030 წლების სტრატეგია

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო

2024 წელი

სარჩევი

1. შესავალი 4

2. არსებული სიტუაციის ანალიზი 8

2.1 მაღალმთიანი დასახლებები საქართველოში 8

2.2 მაღალმთიანი დასახლებების მოსახლეობა 11

2.3 ჯანმრთელობა და სოციალური დაცვა მაღალმთიან დასახლებებში 14

2.4 მაღალმთიანი დასახლებების ეკონომიკური პროფილი 17

2.4.1 მიკრო, მცირე და საშუალო მეწარმეობა მაღალმთიან დასახლებებში 27

2.4.2 სოფლის მეურნეობა 28

2.4.3 გარემოს დაცვა 29

2.4.4 ტურიზმი 30

2.5 ინფრასტრუქტურა 34

2.5.1. საგზაო ინფრასტრუქტურა 35

2.5.2. ელექტროენერგია 35

2.5.3. ინტერნეტიზაცია 36

2.5.4. გაზმომარაგება 37

2.5.5. ნარჩენების მართვა 38

2.5.6. წყალმომარაგება 38

2.6. სოციალური და კერძო სერვისების ხელმისაწვდომობა 38

2.6.1. განათლება და სპორტი მაღალმთიან დასახლებებში 39

2.6.2. ჯანდაცვის სერვისები 42

2.6.3. ტრანსპორტი 42

2.7. გამოვლენილი გამოწვევების შეჯამება 42

პრობლემის ხე 44

3. სტრატეგიის ხედვა 45

4. სექტორული პრიორიტეტები, მიზნები და ამოცანები 47

სექტორული პრიორიტეტი - მეწარმეობა 48

მიზანი 1. მაღალმთიან დასახლებებში სამუშაო ადგილების შექმნა ადგილობრივი ეკონომიკის დივერსიფიკაციის გზით 48

ამოცანა 1.1. მაღალმთიან დასახლებებში მიკრო, მცირე და საშუალო მეწარმეობის მხარდაჭერა, განსაკუთრებით ახალგაზრდებს შორის 49

ამოცანა 1.2. გადამამუშავებელი სექტორის, მთის ნიშური პროდუქციის წარმოების და ტურიზმის მხარდაჭერა 50

სექტორული პრიორიტეტი - ინფრასტრუქტურა 51

მიზანი 2. მაღალმთიან დასახლებებში ეკონომიკის სტიმულირებაზე და ცხოვრების ხარისხის ამაღლებაზე ორიენტირებული საჯარო ინფრასტრუქტურის განვითარება 51

ამოცანა 2.1. მაღალმთიან დასახლებებში საბაზისო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება. 52

ამოცანა 2.2. მაღალმთიანი დასახლებების, განსაკუთრებით ისტორიული მხარეების უნიკალური ტურისტული პოტენციალის განვითარების ხელშეწყობა. 55

ამოცანა 2.3. მაღალმთიან დასახლებებში ბუნებრივი რესურსების მდგრადი მართვის და გარემოსდაცვითი ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ხელშეწყობა 55

სექტორული პრიორიტეტი - სერვისები 56

მიზანი 3. მაღალმთიანი დასახლებების მცხოვრებლებისთვის სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება 56

ამოცანა 3.1. მაღალმთიან დასახლებებში განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდა, პროფესიული და არაფორმალური განათლების განვითარება 56

ამოცანა 3.2. პირველადი ჯანდაცვის განვითარება და სოციალურ სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება 57

ამოცანა 3.3. ტერიტორიული მარკეტინგის გზით მთაში ცხოვრებისა და მუშაობის პოპულარიზაცია 58

5. განხორციელება და კოორდინაცია 58

6. მონიტორინგი და შეფასება 60

7. ლოგიკური ჩარჩო 63

8. დანართები: 71

ფიგურების ჩამონათვალი

ფიგურა 1. მაღალმთიანი დასახლების სტატუსის მქონე დასახლებებების რაოდენობა რეგიონულ ჭრილში 10
ფიგურა 2. მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მქონე მოქალაქეთა რაოდენობა რეგიონულ ჭრილში 11
ფიგურა 3. საშუალო ასაკი ისტორიული მხარეების მაღალმთიან დასახლებებში (2014 წელი) 12
ფიგურა 4. მოსახლეობის პროცენტული ცვლილება 2023 წელს 2015 წელთან შედარებით.....12
ფიგურა 5. ცოცხლად დაბადებულთა რაოდენობა მაღალმთიანი დასახლეების მქონე და მაღალმთიანი დასახლების არ მქონე მუნიციპალიტეტებში 2015-2022 წლებში.....13
ფიგურა 6. მაღალმთიან დასახლებებში მუდმივად მცხოვრები პირების მიმართ სოციალურ შეღავათებზე მიმართული საბიუჯეტო სახსრები მილიონ ლარებში, 2016-2022 წწ. 16
ფიგურა 7. გაცემული ფულადი დახმარება კანონის ამოქმედების შემდეგ დაბადებული ბავშვისათვის 2016-2023 წლებში 16
ფიგურა 8. რაჭა-ლეჩხუმის და ქვემო სვანეთის რეგიონის შემოსავლების შედარება საქართველოს მაჩვენებელთან 2019-2022 წლებში.....17
ფიგურა 9. მაღალმთიანი დასახლების მქონე მუნიციპალიტეტებში ახლადრეგისტრირებულ ბიზნეს სუბიექტთა რაოდენობა ჯამურად, 2012-2022 წლებში 18
ფიგურა 10. მაღალმთიანი დასახლების მქონე მუნიციპალიტეტებში მოქმედი ბიზნეს სუბიექტების რაოდენობა და ბიზნეს სექტორის ბრუნვა (მლნ ლარი) 2014-2022 წლებში.....19
ფიგურა 11. დამატებითი ღირებულების პროცენტული ცვლილება წინა წელთან შედარებით 20
ფიგურა 12. პროდუქციის გამოშვების დინამიკა მაღალმთიანი დასახლების მქონე მუნიციპალიტეტებში (2014-2022) 21
ფიგურა 13. მაღალმთიანი დასახლების მქონე მუნიციპალიტეტებში ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა (2014-2022) 22
ფიგურა 14. ბიზნეს სექტორის ინვესტიციები ფიქსირებულ აქტივებში, 2014-2022 წლებში 23
ფიგურა 15. მაღალმთიანი დასახლების მქონე მუნიციპალიტეტებში ჩადებული ინვესტიციები და შექმნილი დამატებითი ღირებულება (2014-2022) 24
ფიგურა 16. მაღალმთიანი დასახლების მქონე მუნიციპალიტეტებში პროდუქციის გამოშვება და ბიზნეს სექტორის შუალედური მოხმარება (2014-2022) 25
ფიგურა 17. C-სექტორის წილი (დამამუშავებელი მრეწველობა) მოქმედ ბიზნეს სუბიექტთა რაოდენობაში მუნიციპალიტეტების მიხედვით, 2021 წელი 26
ფიგურა 18. რეგიონებში რეგისტრირებულ მაღალმთიან საწარმოთა რიცხვი წლების მიხედვით 27
ფიგურა 19. მაღალმთიანი დასახლების მქონე მუნიციპალიტეტებში საკუთრებაში რეგისტრირებული სასოფლო მიწის პროცენტული წილი 29
ფიგურა 20. ვიზიტორების, მათ შორის უცხოელების ჯამური რაოდენობა, მაღალმთიანი დასახლების მქონე მუნიციპალიტეტებში, 2015-2022 წწ. 32
ფიგურა 21. მაღალმთიან დასახლებებში მდებარე დაცული ტერიტორიების ვიზიტორთა რაოდენობა (2019-2023) 33

ფიგურა 22. საჯარო სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში ჩართულ ბავშვთა რაოდენობა მოსახლეობის 1 000 კაცზე 40
ფიგურა 23. საშუალო სკოლის კურსდამთავრებულთა რიცხოვნობა 1000 მოსახლეზე 41
ფიგურა 24. მოსახლეობაში 20-39 წლის ჯგუფების რაოდენობა 2017-2023 წლებში 43

1. შესავალი

საქართველოს მაღალმთიანი დასახლებები ბუნებრივი, ეკონომიკური, სასოფლო-სამეურნეო რესურსებით და სოციალური პირობების, ეთნო-კულტურული თავისებურებების მიხედვით, მნიშვნელოვნად განსხვავდება როგორც დაბლობის საცხოვრებელი არეალებისგან, ისე ერთმანეთისგანაც. მთა, სხვა ქვეყნების მსგავსად, საქართველოსთვისაც სუფთა ენერგიის, წყლის, სოფლის მეურნეობისა და ტურიზმის უძვირფასეს წყაროს წარმოადგენს, ამავდროულად, მაღალმთიანი დასახლებები და იქ მაცხოვრებლები უფრო მოწყვლადი არიან ბუნებრივი კატასტროფებით გამოწვეული რისკებისადმი (მეწყერები, ღვარცოფები, ზვავები), ვიდრე არამაღალმთიანი დასახლებების მაცხოვრებლები. მთისთვის დამახასიათებელი მოვლენები და იქ არსებული პირობები, როგორიცაა მაგალითად, ზოგიერთ შემთხვევაში საბაზისო ინფრასტრუქტურის და სერვისების შეზღუდული ხელმისაწვდომობა, მიწის გამოფიტვა, კლიმატის ცვლილება, რესურსების არამდგრადი გამოყენება გამოწვევას წარმოადგენს მაღალმთიან დასახლებებში ცხოვრებისა და საქმიანობისათვის.

ასეთ პირობებში, განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია ქვეყნის მიერ მაღალმთიანი დასახლებების განვითარების პოლიტიკის შედეგად მიღწეული შედეგების შენარჩუნება და უწყვეტი განვითარების მხარდაჭერა იქ მცხოვრებ პირთა კეთილდღეობისა და ცხოვრების დონის ასამაღლებლად და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

მაღალმთიანი რეგიონების[1] მიმართ განხორციელებული პოლიტიკა[2] ქვეყნის რეგიონული განვითარების პოლიტიკის ნაწილია და მიმართულია საქართველოს მთელი ტერიტორიის თანაბარი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების უზრუნველყოფისაკენ და მაღალმთიან დასახლებებში მცხოვრებ პირთა სოციალური და ეკონომიკური გამოწვევების დაძლევისკენ.

„საქართველოს მაღალმთიანი დასახლებების განვითარების 2024-2030 წლების სტრატეგია და 2024-2026 წლების სამოქმედო გეგმა“, მიზნად ისახავს მაღალმთიან დასახლებებში მცხოვრები მოქალაქეებისათვის ცხოვრებისა და მუშაობის ხელშემწყობი პირობების შექმნას, ცხოვრების დონის გაუმჯობესებას, მთის პოტენციალის გამოყენებას და ამგვარად, ქვეყნის ტერიტორიის თანაბარი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობას. სტრატეგია შემუშავებულია მტკიცებულებებზე დაფუძნებული და შედეგებზე ორიენტირებული პოლიტიკის წარმოების პრინციპების შესაბამისად და განსაზღვრავს სექტორულ პრიორიტეტებს, მიზნებსა და ამოცანებს, აგრეთვე, ინდიკატორებს პროგრესის გასაზომად და სტრატეგიის განხორციელების

[1] მაღალმთიანი რეგიონი – მაღალმთიანი დასახლება, „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად

[2] „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონი; „საქართველოს მაღალმთიანი დასახლებების განვითარების 2019-2023 წლების სტრატეგიის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 18 ივლისის №343 დადგენილება.

პარალელურად მონიტორინგის განსახორციელებლად, ხოლო შეფასების ჩასატარებლად როგორც შუალედური პერიოდის, ისე სამიზნე 2030 წლისათვის.

სტრატეგიის მიზნები და ამოცანები თანხვედრაშია საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებულ დოკუმენტთან - „ხედვა 2030 საქართველოს განვითარების სტრატეგია“[3], რომელშიც სექტორული პრიორიტეტის „რეგიონული განვითარება“ მე-12 მიზანს წარმოადგენს „ევროკავშირის ღირებულებებთან ჰარმონიზებული რეგიონული პოლიტიკის განხორციელება და მაღალმთიანი რეგიონების განვითარება“. აღნიშნული მიზნის ფარგლებში სახელმწიფოს დასახული აქვს ამოცანა 12.2: „მაღალმთიან დასახლებებში მოსახლეობის ცხოვრებისა და განვითარებისთვის აუცილებელი პირობებისა და საჯარო სერვისებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა“. ამოცანის თანახმად, „მომდევნო წლების განმავლობაში ყურადღება დაეთმობა მაღალმთიანი დასახლებების მდგრად განვითარებას, გაგრძელდება მაღალმთიან დასახლებებში მცხოვრებთა სოციალური მხარდაჭერა და საჯარო სერვისების განვითარება, მთაში ეკონომიკური საქმიანობის განხორციელებისათვის საჭირო პირობების შექმნა/გაუმჯობესება და მაღალმთიანი რეგიონების საჭიროებებზე მორგებული საბაზისო ინფრასტრუქტურის მოწყობის/განვითარების ხელშეწყობა. მაღალმთიანი დასახლებების ეკონომიკური საქმიანობის წახალისებაზე მიმართული ღონისძიებებისა და ამ დასახლებებში საჯარო ინფრასტრუქტურის განვითარების შედეგად, დასახლებებში გაიზრდება მაღალმთიან საწარმოთა რაოდენობა და აქ დასაქმებულ ადამიანთა რიცხვი.“

სტრატეგია და სამოქმედო გეგმა აგრეთვე, ეხმიანება გაერო-ს მდგრადი განვითარების მიზნებს, საქართველოს მთავრობის მიერ „რიო+20-ის“ 2012 წლის №66/288 დეკლარაციის ფარგლებში აღებულ ვალდებულებებს და 2019 წლის 12 ნოემბერს დამტკიცებულ „მდგრადი განვითარების მიზნების ეროვნულ დოკუმენტს[4]“.

ასევე, სტრატეგიის მიზნები და ამოცანები როგორიცაა მაგალითად, მეწარმეობა, ტურიზმი, მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნესი, სოფლის მეურნეობა, ინფრასტრუქტურა, სერვისების და უნარების განვითარება, წარმოადგენს ეროვნული და სექტორული განვითარების მიზნებსა და ამოცანებს და ხელს უწყობს შესაბამისი სტრატეგიული დოკუმენტებით (მაგ. „საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგიის 2021 – 2025 წლებისათვის და საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგიის 2021-2022 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 13 ივლისის №351 დადგენილება; „სახელმწიფო სერვისების განვითარების სტრატეგიის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 12 აპრილის №180 დადგენილება) განსაზღვრული მიზნებისა და ამოცანების მიღწევას.

მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ საქართველოს მიერ მიღებული ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის გათვალისწინებით, პრიორიტეტად იქცა ევროკავშირის რეგიონული განვითარების პოლიტიკისა და მისი დაფინანსების პრინციპებთან ჰარმონიზაციის დაჩქარება.

---

[3] „ხედვა 2030 საქართველოს განვითარების სტრატეგიის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 3 ნოემბრის №517 დადგენილება.

[4] „მდგრადი განვითარების მიზნების ეროვნული დოკუმენტის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 12 ნოემბრის №2328 განკარგულება

ევროკავშირის სტრუქტურულ ფონდებთან წვდომისთვის მნიშვნელოვანია ევროკავშირის დაფინანსების ისეთი პრინციპების დანერგვა, როგორიცაა კოჰეზიის (გათანაბრების) პრინციპი, ტერიტორიული მიდგომა და ინტეგრირებული განვითარება. აგრეთვე, ევროკავშირის ფონდებთან და განვითარების პოლიტიკასთან ინტეგრაციისთვის აუცილებელია ევროკავშირის განვითარების პოლიტიკის 2021-2027 წლების პრიორიტეტების მაქსიმალური გათვალისწინება.

სტრატეგია ეფუძნება საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკას, პირველ რიგში, ევროკავშირის ქვეყნების გამოცდილებას. პოლიტიკის დაგეგმვისას გამოყენებულ იქნა მთის ტერიტორიების თანამშრომლობისა და განვითარების ევროპული მრავალსექტორული ასოციაციის (Euromontana) წევრი ევროპული ქვეყნების მაღალმთიანი დასახლებების დეპოპულაციის წინააღმდეგ საუკეთესო პრაქტიკის შემსწავლელი პლატფორმის (PADIMA)[5] რეკომენდაციები. მათ თანახმად, მაღალმთიანი დასახლებებიდან მოსახლეობის დეპოპულაციის წინააღმდეგ პოლიტიკა უნდა ემსახურებოდეს მთაში ცხოვრებისა და მუშაობისათვის მიმზიდველი გარემოს შექმნას განსაკუთრებით ახალგაზრდებისა და სამუშაო ასაკის მოსახლეობისთვის, რომელთა ემიგრაცია მთიდან უკავშირდება სწავლას და უფრო დივერსიფიცირებული სამუშაო ადგილების ძებნას, გარკვეულ სერვისებზე წვდომის ნაკლებობას, არასაკმარის კულტურულ აქტივობებს, სერვისებამდე ან სამსახურამდე შორ მანძილსა და მკაცრ კლიმატურ პირობებს.[6] წინამდებარე სტრატეგია ითვალისწინებს სწორედ ამ მიდგომებს და ასევე ეფუძნება ევროკავშირის ინტეგრირებული ტერიტორიული განვითარების პრინციპებზე აგებულ რეგიონული პოლიტიკას.

წინამდებარე სტრატეგია მომზადებულია შესაბამისი სახელმწიფო უწყებების ჩართულობით და საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს კოორდინაციით, „მაღალმთიანი დასახლებების განვითარების 2024-2030 წლების სტრატეგიისა და მისი სამოქმედო გეგმ(ებ)ის შემუშავებისა და განხორციელების მიზნით შექმნილი საკოორდინაციო საბჭოს შექმნისა და დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის 2023 წლის 18 აპრილის N52/ო ბრძანებით შექმნილი საკოორდინაციო საბჭოს ფარგლებში. პოლიტიკის დოკუმენტის პროექტი, თავის მხრივ, შეთანხმებულ იქნა „მთის განვითარების ეროვნული საბჭოს შემადგენლობისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 19 ოქტომბრის №536 დადგენილებით შექმნილ მთის განვითარების ეროვნულ საბჭოზე, რომელსაც ხელმძღვანელობს საქართველოს პრემიერ-მინისტრი და რომელიც განიხილავს და მთავრობას დასამტკიცებლად წარუდგენს მაღალმთიანი დასახლებების განვითარების სტრატეგიას და სამოქმედო გეგმას.

„პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავების, მონიტორინგისა და შეფასების წესის“ შესახებ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 20 დეკემბრის №629 დადგენილების შესაბამისად, დოკუმენტში გაანალიზებულია წინამორბედი სტრატეგიის შედეგები - დეტალურად მიმოხილულია მონაცემები და გრაფიკული სახით წარმოდგენილია ინფორმაცია 2019 წელს

[5] Policies against Depopulation in Mountanous Areas, https://www.euromontana.org/padima/

[6] Policies against Depopulation in Mountanous Areas (PADIMA), https://www.euromontana.org/wp-content/uploads/2023/12/padima-finalpolicyreport-en.pdf

მაღალმთიანი დასახლებების განვითარების პირველი სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის დამტკიცებამდე და მის შემდეგ. აღნიშნული მონაცემები აგრეთვე ასახავს 2015 წელს პარლამენტის მიერ მიღებული „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სოციალური და ეკონომიკური შეღავათების შედეგებსაც.

დოკუმენტში „მაღალმთიანი დასახლების მქონე მუნიციპალიტეტების“ მაჩვენებლებისთვის გამოყენებულია საქართველოს იმ 21 მუნიციპალიტეტის სტატისტიკური მონაცემები, რომლებშიც მაღალმთიანი დასახლებების წილი დასახლებების საერთო რაოდენობაში შეადგენს ან აღემატება 59%-ს. აღნიშნული 21 მუნიციპალიტეტიდან 15 მუნიციპალიტეტში მაღალმთიანი დასახლებების წილი 100%-ია, ერთ მუნიციპალიტეტში - 96%, 3 მუნიციპალიტეტში 70-75%, ერთში - 68% და ერთში - 59%. ეს რეგიონები და მუნიციპალიტეტებია: რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი (ამბროლაურის, ონის, ცაგერის, ლენტეხის მუნიციპალიტეტები), აჭარა (ხულოს, ქედას, შუახევის მუნიციპალიტეტები), მცხეთა-მთიანეთი (ყაზბეგის, დუშეთის, თიანეთის მუნიციპალიტეტები), ქვემო ქართლი (დმანისის, თეთრიწყაროს, წალკის მუნიციპალიტეტები), სამეგრელო-ზემო სვანეთი (მესტიის მუნიციპალიტეტი), სამცხე-ჯავახეთი (ადიგენის, ასპინძის, ახალქალაქის, ახალციხის, ნინოწმინდის, ბორჯომის მუნიციპალიტეტები) და კახეთი (ახმეტის მუნიციპალიტეტი). ზემოხსენებული მაღალმთიანი მუნიციპალიტეტები დოკუმენტში გაანალიზებულია დემოგრაფიის, ეკონომიკის, აგრეთვე განათლების, ტურიზმის და ჯანდაცვის სტატისტიკური მაჩვენებლების ჭრილში. ცალკეული რეგიონების გარდა, სტატისტიკის ეროვნული სამსახურის სტატისტიკური მონაცემები გაანალიზებულია ასევე მათ ფარგლებში არსებული ისტორიულ-გეოგრაფიული მხარეებისა და ისეთი მუნიციპალიტეტების დონეზეც, რომლებიც რეგიონის სხვა მუნიციპალიტეტებისგან მნიშვნელოვანი მახასიათებლებით განსხვავებულია. სიტუაციის ანალიზი განხორციელდა 2023 წელს, ხოლო მონაცემები გაანალიზებულია კანონის ამოქმედებიდან უახლოეს წლამდე, რომლისთვისაც მონაცემები ხელმისაწვდომი იყო (2022 წ., ხოლო ბიზნეს რეესტრის სტატისტიკისთვის - 2021 წ.). გარდა 21 მაღალმთიანი მუნიციპალიტეტის შესახებ სტატისტიკური მონაცემებისა, დოკუმენტში ასევე გაანალიზებულია იმ 44 მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენლების გამოკითხვის შედეგად შეგროვებული მონაცემების გაანალიზებით მიღებული ხარისხობრივი და რაოდენობრივი ინფორმაცია, რომლებშიც მაღალმთიანი დასახლების სტატუსი მინიჭებული აქვს სხვადასხვა რაოდენობის დასახლებას. კვლევის პროცესში ასევე გამოყენებულ იქნა „მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდის“ და სხვადასხვა სახელმწიფო პროგრამის ადმინისტრაციული მონაცემები, აგრეთვე, საჯარო მოხელეებთან ჩატარებული ფოკუს ჯგუფებიდან მიღებული ინფორმაცია.

დოკუმენტის შემუშავებისას, 2019 წლის 20 დეკემბრის საქართველოს მთავრობის N629 დადგენილებით დამტკიცებული „პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავების, მონიტორინგისა და შეფასების წესის“ შესაბამისად, შემუშავებული 2024-2030 წლების სტრატეგიის და 2024-2026 წლების სამოქმედო გეგმის პროექტების საჯარო კონსულტაციების პროცესი 2024 წლის 3 ივნისიდან 18 ივლისის ჩათვლით მიმდინარეობდა. საჯარო კონსულტაციებში დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გასაზრდელად შერჩეულ იქნა როგორც ელექტრონული, აგრეთვე, ფიზიკური კონსულტაციების მეთოდები. საჯარო კონსულტაციები გაიმართა ფიზიკურად, ყველა რეგიონში გასვლითი შეხვედრების ფორმატში, მაღალმთიან დასახლებებში მცხოვრებ მოსახლეობასთან, სათემო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან,

ექსპერტებთან, აგრეთვე, სხვა დაინტერესებულ მხარეებთან. საჯარო კონსულტაციებში მონაწილეობა მიიღო ჯამში 408 დამსწრე პირმა. გამოთქმული მოსაზრებების უმეტესობა ასახულ იქნა დოკუმენტის საბოლოო ვერსიაში (იხ. საჯარო კონსულტაციების ანგარიში დანართი №2).

წარმოდგენილი სტრატეგიის პირველი ნაწილი ეთმობა ქვეყნის მაღალმთიან დასახლებებში არსებული სიტუაციის სიღრმისეულ ანალიზს და წინა სტრატეგიის შედეგების მიმოხილვას, მეორე ნაწილში აღწერილია ამ გამოწვევების დასაძლევად დასახული ხედვა, სექტორული პრიორიტეტები, მიზნები და ამოცანები, ხოლო მომდევნო თავში წარმოდგენილია განხორციელების, მონიტორინგისა და შეფასების ჩარჩო.

2. არსებული სიტუაციის ანალიზი

წინამდებარე სიტუაციის ანალიზი შემუშავებულია სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით, 21 მაღალმთიანი დასახლების მქონე მუნიციპალიტეტის ჭრილში და სხვადასხვა უწყების ადმინისტრაციული მონაცემების გაანალიზების საფუძველზე, აგრეთვე, გაანალიზდა 44 მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენლების გამოკითხვის შედეგები. სიტუაციის ანალიზის შედეგად იდენტიფიცირებული გამოწვევები სტრუქტურირებული იქნა „პრობლემის ხის ანალიზის“ მეთოდით.

2.1 მაღალმთიანი დასახლებები საქართველოში

2015 წლის 16 ივლისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონი, რომელიც ითვალისწინებს სხვადასხვა სოციალურ და ეკონომიკურ შეთავათებს მაღალმთიანი დასახლებებისთვის. „საქართველოს მაღალმთიანი დასახლებების განვითარების 2019-2023 წლების სტრატეგიის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 18 ივლისის №343 დადგენილებით დამტკიცებული სტრატეგია, „საქართველოს მაღალმთიანი დასახლებების განვითარების 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 18 ივლისის №342 დადგენილებით და „საქართველოს მაღალმთიანი დასახლებების განვითარების 2021-2023 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 27 აპრილის №189 დადგენილებით დამტკიცებული სამოქმედო გეგმები, რომელიც აერთიანებდა 3 სტრატეგიულ მიზანს, 13 ამოცანას, 41 აქტივობასა და 65 ქვეაქტივობას. სტრატეგიული მიზნები მოიცავდა შემდეგს: „მაღალმთიანი დასახლებების მდგრადი განვითარება“, „მაღალმთიან დასახლებებში მცხოვრებთა სოციალური მხარდაჭერა“ და „მაღალმთიან დასახლებებში სერვისების ხელმისაწვდომობა“.

„მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონით, მაღალმთიანი დასახლება არის საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით“ გათვალისწინებული დასახლება, რომელიც შეტანილია საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებულ მაღალმთიან დასახლებათა ნუსხაში.

„მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონით, მაღალმთიანი დასახლებების იდენტიფიცირების პარამეტრები და კრიტერიუმები ეყრდნობა მათ მდებარეობას ჰიფსომეტრიული სიმაღლის მიხედვით. ამ კანონით, მაღალმთიანი დასახლების სტატუსი მინიჭებული აქვთ ზღვის დონიდან 1 500 მეტრ და მეტ სიმაღლეზე მდებარე დასახლებებს, აგრეთვე, საქართველოს შემდეგ ისტორიულ-გეოგრაფიულ მხარეებში მდებარე დასახლებებს: ხევი, მთიულეთი, პანკისის ხეობა, მაღალმთიანი აჭარა, გუდამაყრის ხეობა, ფშავ-ხევსურეთი, თუშეთი, ზემო სვანეთი, ქვემო სვანეთი, ლეჩხუმი, რაჭა. საქართველოს მთავრობის დადგენილებით, მაღალმთიანი დასახლების სტატუსი მინიჭებული აქვს ზღვის დონიდან 800 მეტრიდან 1 500 მეტრ სიმაღლემდე მდებარე დასახლებასაც, რომელიც აკმაყოფილებს დადგენილ კრიტერიუმებს (მათ შორის, მთის ფერდობის დახრილობა, ინფრასტრუქტურის მდგომარეობა, კლიმატური პირობები და ბუნებრივი გარემო, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის სიმცირე და სიმწირე, დემოგრაფიული მდგომარეობა, მათ შორის, გამწვავებული მიგრაციული პროცესები).

მაღალმთიანი დასახლებები სიმაღლეების მიხედვით, მეტრი



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო

ამჟამად, ქვეყნის მასშტაბით მაღალმთიანი დასახლების სტატუსი მინიჭებული აქვს 1 801 დასახლებას, რომელთაგან ყველაზე მეტი (434) მაღალმთიანი დასახლებაა მცხეთა-მთიანეთის რეგიონში.

ფიგურა 1. მაღალმთიანი დასახლების სტატუსის მქონე დასახლებებების რაოდენობა რეგიონულ ჭრილში



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მუნიციპალიტეტის სტატისტიკური მაჩვენებლები

მაღალმთიან დასახლებათა შორის უმეტესობა სოფლის ტიპის დასახლებებია (98.3%, 1 771 სოფელი), მცირე რაოდენობით კი - დაბის (1.17%, 21 დაბა) და ქალაქის (0.5%, 9 ქალაქი) ტიპის.

2.2 მაღალმთიანი დასახლებების მოსახლეობა

საქართველოს კანონით „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“, საქართველოს მოქალაქე ფიზიკურ პირს, რომელიც რეგისტრირებულია მაღალმთიან დასახლებაში, შესაბამისი მუნიციპალიტეტის მერის გადაწყვეტილებით, ამავე მუნიციპალიტეტისათვის სახელმწიფოს მიერ დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში, ენიჭება მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსი, თუ იგი აკმაყოფილებს განსაზღვრულ კრიტერიუმებს: „ა) არის საქართველოს მოქალაქე; ბ) რეგისტრირებულია მაღალმთიან დასახლებაში; გ) ყოველი კალენდარული წლის განმავლობაში ჯამში 9 თვის ან 9 თვეზე მეტი ვადით ფაქტობრივად ცხოვრობს მაღალმთიან დასახლებაში. თუ მაღალმთიანი დასახლება ზღვის დონიდან 2000 მეტრის სიმაღლეზე ან მის ზევით მდებარეობს, ამ ქვეპუნქტით განსაზღვრული მაღალმთიან დასახლებაში ფაქტობრივად ცხოვრების ვადაა კალენდარული წლის განმავლობაში ჯამში 6 თვე ან 6 თვეზე მეტი“.

მაღალმთიან დასახლებაში, 2024 წლის მარტის მდგომარეობით, მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მქონეა ჯამში 259 241 მოქალაქე, მათ შორის ყველაზე მეტია სამცხე-ჯავახეთის რეგიონში. მუნიციპალურ ჭრილში ყველაზე მეტი მოქალაქე ცხოვრობს ახალქალაქის, დმანისის და წალკის მუნიციპალიტეტებში, ხოლო ყველაზე ნაკლები - მესტიის, ყაზბეგის და ლენტეხის მუნიციპალიტეტებში.

ფიგურა 2. მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მქონე მოქალაქეთა რაოდენობა რეგიონულ ჭრილში



წყარო: საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ინფორმაცია

მაღალმთიან დასახლებათა უმეტესობაში მოსახლეობის საშუალო ასაკი 40 წელზე მეტია, მათ შორის ისტორიული მხარეების მაღალმთიანი დასახლებების მონაცემების მიხედვით, საშუალო ასაკი ყველაზე დაბალია პანკისის ხეობის მაღალმთიან დასახლებებში, ხოლო ყველაზე მაღალი ისტორიული გუდამაყარის მხარეში.

ფიგურა 3. საშუალო ასაკი ისტორიული მხარეების მაღალმთიან დასახლებებში (2014 წელი)



წყარო: საქართველოს მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერის საფუძველზე საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ინფორმაცია

2023 წელს, 2015 წელთან შედარებით, საქართველოს მაღალმთიანი დასახლების მქონე მუნიციპალიტეტებში მოსახლეთა რაოდენობა 3.07%-ით შემცირდა და შეადგინა 376,6 ათასი მოსახლე, მაშინ, როდესაც არამაღალმთიანი დასახლებების მოსახლეობა 0.79%-ით გაიზარდა. თუმცა, თუ გავაანალიზებთ მხოლოდ 2022 წლამდე არსებულ მონაცემებს, 2022 წლის რუსეთ-უკრაინის ომით გამოწვეული მაღალი ემიგრაციული პროცესების გავლენა რომ გამოვრიცხოთ, 2015-2021 წლებში მაღალმთიანი დასახლების მქონე მუნიციპალიტეტებში მოსახლეობა შემცირდა 2.3%-ით მაშინ, როდესაც არამაღალმთიანი მუნიციპალიტეტების მოსახლეობა (თბილისის გამოკლებით) შემცირდა უფრო მეტად - 3,2%-ით. თბილისის ჩათვლით არამაღალმთიანი მუნიციპალიტეტების მოსახლეობა გაიზარდა 0.47%-ით, რადგან თბილისში მაღალია როგორც შიდა, ისე გარე მიგრაცია და მისი მოსახლეობა ბოლო წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა. ამდენად, მაღალმთიან დასახლებებში მოსახლეობის შემცირება ქვეყანაში საერთო მიგრაციულ პროცესებს უკავშირდება და მისი ნაწილია.

ფიგურა 4. მოსახლეობის პროცენტული ცვლილება 2023 წელს 2015 წელთან შედარებით



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მუნიციპალიტეტის სტატისტიკური მაჩვენებლები

2015 წელთან შედარებით, 2023 წელს საქართველოს მაღალმთიანი დასახლების მქონე მუნიციპალიტეტებში მკვიდრთა წილი ქვეყნის მთლიან მოსახლეობაში შემცირებულია 0,36 პროცენტული პუნქტით და შეადგენს 10.8%-ს. 5 წლის განმავლობაში საქართველოს

მაღალმთიან დასახლებებში მოსახლეობის სიმჭიდროვე ერთ კვ.კმ-ზე შემცირდა 6 ადამიანით, 366 დან 360 ადამიანამდე.

2023 წელს, 2015 წელთან შედარებით, მოსახლეობის მატება დაფიქსირდა ქვემო ქართლის (8%), მცხეთა-მთიანეთის (4%) და აჭარის (5.4%) მაღალმთიანი დასახლების მქონე მუნიციპალიტეტებში, ხოლო ყველაზე მეტად შემცირებულია რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მაღალმთიანი დასახლების მქონე მუნიციპალიტეტების მოსახლეობა.

2015 წლიდან საქართველოს მაღალმთიანი დასახლების მქონე მუნიციპალიტეტებში ცოცხლად დაბადებულთა[7] რიცხვის კლება შეინიშნება, თუმცა აღნიშნული მაჩვენებელი არამაღალმთიანი დასახლების მქონე მუნიციპალიტეტებში უფრო შემცირებულია. 2017-2022 წლებში შობადობის ზოგადი კოეფიციენტი საქართველოს მაღალმთიანი მუნიციპალიტეტების უმრავლესობაში შემცირდა.

ფიგურა 5. ცოცხლად დაბადებულთა რაოდენობა მაღალმთიანი დასახლეების მქონე და მაღალმთიანი დასახლების არ მქონე მუნიციპალიტეტებში 2015-2022 წლებში



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მუნიციპალიტეტის სტატისტიკური მაჩვენებლები

2022 წლის მონაცემებით, შობადობის კოეფიციენტი[8] ყველაზე მაღალია ყაზბეგის მუნიციპალიტეტში (15.4), მესტიის მუნიციპალიტეტში (14.2), ქვემო ქართლის მუნიციპალიტეტებში და სამცხე-ჯავახეთში (ადიგენის - 12.7, ასპინძის - 11.3, და დმანისის მუნიციპალიტეტებში - 12.6), ასევე საკმაოდ მაღალია მაღალმთიან აჭარაში (შუახევი - 12.2 და ქედა - 11.5, თუმცა ხულოში უფრო ნაკლებია - 10.5), ხოლო დაბალია თიანეთის

[7] დაბადებულთა სტატისტიკა მოიცავს წლის განმავლობაში ცოცხლად დაბადებულთა და მკვდრადშობილთა რიცხოვნობას და შესაბამის მაჩვენებლებს (კოეფიციენტებს).თუმცა ცოცხლად დაბადებულთა და დაბადებულთა შორის სტატისტიკური სხვაობა არის უმნიშვნელო. შობადობის კოეფიციენტის გამოთვლისას გამოიყენება სწორედ გარკვეულ დროში ცოცხლად დაბადებულთა რიცხოვნობის შეფარდება იმავე პერიოდის მოსახლეობის საშუალო რიცხოვნობასთან და უჩვენებს ცოცხლად დაბადებულთა რიცხოვნობას მოსახლეობის 1 000 კაცზე.

[8] შობადობის კოეფიცინტი - გარკვეულ დროში ცოცხლად დაბადებულთა რიცხოვნობის შეფარდება იმავე პერიოდის მოსახლეობის საშუალო რიცხოვნობასთან და უჩვენებს ცოცხლად დაბადებულთა რიცხოვნობას მოსახლეობის 1 000 კაცზე.

მუნიციპალიტეტში (6.3), თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში (7.9), დუშეთის მუნიციპალიტეტში (8.2), ამბროლაურის მუნიციპალიტეტში (8.6), ონის მუნიციპალიტეტში (8.7) და ცაგერის მუნიციპალიტეტში (8.8), ხოლო ბუნებრივი მატების კოეფიციენტი[9] დადებითია შუახევის, მესტიის, ასპინძის, ახალქალაქის, ნინოწმინდის მუნიციპალიტეტებში.

2.3 ჯანმრთელობა და სოციალური დაცვა მაღალმთიან დასახლებებში

ჯანდაცვის მიმართულებით „საქართველოს მაღალმთიანი დასახლებების განვითარების 2019-2023 წლების სტრატეგიის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 18 ივლისის №343 დადგენილებით დამტკიცებული სტრატეგია მოიცავდა სასწრაფო დახმარების შენობების მშენებლობას, ამბულატორიების მშენებლობა-რეაბილიტაციას, გადაუდებელი სასწრაფო დახმარების ავტოპარკის განახლებას სპეციალიზებული მაღალი გამავლობის ავტომობილებით, პირველადი სამედიცინო (ექიმამდელი) დახმარების ხელმისაწვდომობის სახელმწიფო პროგრამას, რომელსაც ახორციელებდა სსიპ – საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრი.

„მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულია ყოველთვიური დანამატი სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებულ და მის მართვაში არსებულ სამედიცინო დაწესებულებაში დასაქმებული სამედიცინო პერსონალისათვის, რომლის შრომა საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ანაზღაურდება: ექიმებისათვის – სახელმწიფო პენსიის ორმაგი ოდენობით, ხოლო ექთნისათვის – სახელმწიფო პენსიის ოდენობით.

აღსანიშნავია, რომ მიუხედავად ამ სახელფასო დანამატისა, 2022 წელს, 2011 წლის მონაცემებთან შედარებით, საექთნო პერსონალის რაოდენობამ იკლო ყველა რეგიონის მუნიციპალიტეტში, გარდა სამცხე-ჯავახეთისა და კახეთის რეგიონებისა.

საქართველოს მოქალაქეები სარგებლობენ „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული შემდეგი სოციალური შეღავათებით: შვილის შეძენისას ოჯახების სოციალური დანამატი - 2016 წლის პირველი იანვრიდან, ოჯახები, რომელთაც კანონის ამოქმედების შემდეგ შეეძინათ შვილი, იღებენ ყოველთვიურ ფულად დახმარებას, პირველ და მეორე შვილზე - 1 წლის განმავლობაში 100 ლარს, ხოლო მესამე და შემდგომ შვილზე - 2 წლის განმავლობაში 200 ლარს. პენსიონერთა დანამატი - 2016 წლის სექტემბრიდან დაიწყო სოციალური დახმარების სახით დანამატის გაცემა საპენსიო ასაკს მიღწეული მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირებისათვის. კანონით, მაღალმთიან დასახლებაში მცხოვრები პენსიონერები იღებენ სახელმწიფო პენსიის 20%-იან დანამატს. სოციალური პაკეტის მიმღები პირთა დანამატი - 2016 წლის სექტემბრიდან დაიწყო ასევე სოციალური პაკეტის მიმღებ მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრებ

[9] ბუნებრივი მატების კოეფიციენტი - გარკვეული დროის განმავლობაში დაბადებულთა და გარდაცვლილთა რიცხოვნობას შორის სხვაობა. კოეფიციენტი წარმოადგენს სხვაობას შობადობისა და მოკვდაობის კოეფიციენტებს შორის და უჩვენებს ბუნებრივ მატებას მოსახლეობის 1 000 კაცზე. ბუნებრივი მატება იღებს უარყოფით მნიშვნელობას, როდესაც გარდაცვლილთა რიცხოვნობა აჭარბებს დაბადებულთა რიცხოვნობას.

პირებისათვის ყოველთვიური დანამატის გაცემა მათთვის გათვალისწინებული სოციალური პაკეტის 20%-ის ოდენობით. საჯარო სკოლის მასწავლებელთა დანამატი - მაღალმთიან დასახლებაში მდებარე საჯარო სკოლის მასწავლებლის დანამატი (ხელფასის არანაკლებ 35%) 2016 წლის 1 სექტემბრიდან გაიცემა. ვაუჩერის გაზრდილი ოდენობა საჯარო სკოლებისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულებებისათვის. 2016 წლიდან მაღალმთიან დასახლებაში მდებარე პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები უზრუნველყოფილია ვაუჩერული დაფინანსების გაზრდილი ოდენობით, რომელიც გამოყენებულია პროფესიული განათლების მასწავლებელთა შრომის ანაზღაურების დანამატის გაცემის მიზნით. სპორტის სფეროში დასაქმებული მწვრთნელების დანამატი - „მაღალმთიან დასახლებებში სპორტის სფეროში დასაქმებული მწვრთნელებისათვის ფინანსური დახმარებისა და სპორტის განვითარების ხელშემწყობი სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 12 სექტემბრის N436 დადგენილებით დაამტკიცა მაღალმთიან დასახლებებში სპორტის სფეროში დასაქმებული მწვრთნელებისათვის ფინანსური დახმარებისა და სპორტის განვითარების ხელშემწყობი სახელმწიფო პროგრამა. ამ პროგრამის შესაბამისად, მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები და მომუშავე მწვრთნელებს ეძლევათ დანამატები. მოხმარებული ელექტროენერგიის შეღავათი - 2017 წლის 1 იანვრიდან მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მქონე აბონენტებს (საყოფაცხოვრებო მომხმარებლებს) უნაზღაურდებათ მაღალმთიან დასახლებაში მოხმარებული ელექტროენერგიის ყოველთვიური საფასურის 50%, მაგრამ არაუმეტეს მოხმარებული 100 კვტ.სთ ელექტროენერგიის საფასურისა. ზამთრის პერიოდში გათბობით უზრუნველყოფის ხელშეწყობა - მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრებ პირთა გათბობის უზრუნველყოფის ხელშეწყობის მიზნით ოჯახები იღებენ 15 კუბურ მეტრამდე შეშით სარგებლობის უფლებას.

2016 წლიდან 2023 წლის ჩათვლით, სოციალურ შეღავათებზე გაწეული ხარჯი შეადგენს 629,746,582 ლარს. ყველაზე მეტი, 47.5% მიიმართა დანამატებზე პენსიებზე, 18.9% მიიმართა მასწავლებლებისთვის განკუთვნილ სახელფასო დანამატზე, 11.5% მიიმართა ელექტროენერგიის სუბსიდირებაზე, 9% - ბავშვებზე სოციალურ დახმარებაზე, 6.6% - ექიმებისა და ექთნების სახელფასო დანამატზე, 5.6% - დანამატზე სოციალურ პაკეტზე. ყოველწლიურად მზარდი იყო ყველა სოციალური შეღავათის ბენეფიციართა რაოდენობა.

ფიგურა 6. მაღალმთიან დასახლებებში მუდმივად მცხოვრები პირების მიმართ სოციალურ შეღავათებზე მიმართული საბიუჯეტო სახსრები მილიონ ლარებში, 2016-2022 წწ.



წყარო: საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს წლიური ანგარიშები მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები სტატუსის მქონე ბენეფიციარებზე გაცემული სოციალური შეღავათების თაობაზე

ფიგურა 7. გაცემული ფულადი დახმარება კანონის ამოქმედების შემდეგ დაბადებული ბავშვისათვის 2016-2023 წლებში

წყარო: საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს წლიური ანგარიშები მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები სტატუსის მქონე ბენეფიციარებზე გაცემული სოციალური შეღავათების თაობაზე

ანალიზმა აჩვენა, რომ ბავშვზე ფულადი დახმარების სოციალურ შეღავათი ყოველთვის კორელაციაში არ ყოფილა დაბადებული ბავშვების რაოდენობასთან, სკოლამდელ დაწესებულებებსა და სკოლის პირველ კლასში ჩარიცხული ბავშვების რაოდენობრივ მაჩვენებლებთან. მაღალმთიანი დასახლების მქონე მუნიციპალიტეტებში შობადობის მაჩვენებელზე დადებით გავლენას ახდენს არა მხოლოდ ბავშვზე გაცემული ფულადი დანამატი, არამედ, და უფრო მეტად, ზოგადად ამ მუნიციპალიტეტში მოსახლეობის, განსაკუთრებით ახალგაზრდა მოსახლეობის, შენარჩუნების მაჩვენებელი. ეს უკანასკნელი კი უფრო მეტად დამოკიდებულია მუნიციპალიტეტში ცხოვრებისა და მუშაობის პირობების და შესაბამისი ეკონომიკური შესაძლებლობების არსებობასთან.

2.4 მაღალმთიანი დასახლებების ეკონომიკური პროფილი

მუნიციპალიტეტების დონეზე, შინამეურნეობების შემოსავლებისა და დანახარჯების შესახებ მონაცემები არ არის ხელმისაწვდომი, თუმცა გარკვეულ წარმოდგენას იძლევა ისეთი რეგიონის მონაცემები, რომელიც მთლიანად მაღალმთიან რეგიონს წარმოადგენს და სახელმწიფო სტრატეგიით გათვალისწინებული არაერთი ინტერვენციის სამიზნე არეალი იყო გასულ წლებში. კერძოდ, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთის რეგიონის როგორც ერთი სულის, ისე ერთი შინამეურნეობის შემოსავლები დაუახლოვდა და ზოგ პარამეტრში გადაუსწრო საშუალო ეროვნულ მაჩვენებელს (იხ. დიაგრამა).

ფიგურა 8. რაჭა-ლეჩხუმის და ქვემო სვანეთის რეგიონის შემოსავლების შედარება საქართველოს მაჩვენებელთან 2019-2022 წლებში



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის შინამეურნეობების შემოსავლების გამოკვლევა

2012-2022 წლებში ახლადრეგისტირებულ ბიზნეს სუბიექტთა რაოდენობა საქართველოს მაღალმთიანი დასახლების მქონე მუნიციპალიტეტებში ზოგადი მატების ტენდენციით

ხასიათდებოდა. აღნიშნულ პერიოდში ყველაზე მეტი სუბიექტი 2022 წელს დარეგისტრირდა, მათ შორის ყველაზე მეტი ბიზნეს სუბიექტი რეგისტრირებულია ახალციხის, ბორჯომისა და ადიგენის მუნიციპალიტეტებში, ხოლო ყველაზე ნაკლები - ონისა და ლენტეხის მუნიციპალიტეტებში. 2014 წლიდან 2022 წლამდე საქართველოს მაღალმთიან დასახლებებში მოქმედი ბიზნეს სუბიექტების რაოდენობა გაიზარდა 148%-ით, ხოლო სექტორის ბრუნვა 129%-ით. ამავე წლებში მაღალმთიანი დასახლების მქონე მუნიციპალიტეტებში პროდუქციის გამოშვება გაიზარდა 115%-ით, ხოლო დამატებითი ღირებულება 110%-ით.

ფიგურა 9. მაღალმთიანი დასახლების მქონე მუნიციპალიტეტებში ახლადრეგისტრირებულ ბიზნეს სუბიექტთა რაოდენობა ჯამურად, 2012-2022 წლებში



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მუნიციპალიტეტის სტატისტიკური მაჩვენებლები

აღსანიშნავია, რომ მაღალმთიანი დასახლებების მუნიციპალიტეტებში მეტი ბიზნეს სუბიექტი დარეგისტრირდა, ვიდრე არამაღალმთიან დასახლებებში. 2014-2021 წლების შუალედში, არამაღალმთიან დასახლებებში დარეგისტრირებულ და მოქმედ ბიზნეს სუბიექტთა რაოდენობა გაიზარდა 36%-ით, ხოლო მაღალმთიან დასახლებებში იგივე მაჩვენებელმა 73.8% შეადგინა. მაღალმთიან დასახლებებში ბიზნეს სექტორის ბრუნვა გაიზარდა 117.3%-ით, ხოლო არამაღალმთიან დასახლებებში 203%-ით. მოსახლეობის 1 000 კაცზე გათვლით ყველაზე მეტი მოქმედი ბიზნეს სუბიექტი რეგისტრირებულია ყაზბეგის, ადიგენის, ამბროლაურის, ბორჯომის, ლენტეხის და მესტიის მუნიციპალიტეტებში, ხოლო ყველაზე ნაკლები - ახალქალაქის, ნინოწმინდის, წალკის, თეთრიწყაროს და თიანეთის მუნიციპალიტეტებში. მაღალმთიანი მუნიციპალიტეტების საშუალო მაჩვენებელია 54.2, საშუალო ეროვნული მაჩვენებელია 61.5.

საქართველოს მაღალმთიანი დასახლების მქონე მუნიციპალიტეტებში 2014 წლიდან 2022 წლამდე იზრდებოდა ბიზნეს სექტორის ბრუნვა. ჯამში ეს მაჩვენებელი 1147.1 მლნ ლარიდან გაიზარდა 2624.2 მლნ ლარამდე.

ფიგურა 10. მაღალმთიანი დასახლების მქონე მუნიციპალიტეტებში მოქმედი ბიზნეს სუბიექტების რაოდენობა და ბიზნეს სექტორის ბრუნვა (მლნ ლარი) 2014-2022 წლებში



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მუნიციპალიტეტის სტატისტიკური მაჩვენებლები

ფიგურა 11. დამატებითი ღირებულების პროცენტული ცვლილება წინა წელთან შედარებით



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მუნიციპალიტეტის სტატისტიკური მაჩვენებლები

2014-2022 წლებში საქართველოს მაღალმთიანი დასახლების მქონე მუნიციპალიტეტებში პროდუქციის გამოშვება ზოგადი ზრდის დინამიკით ხასიათდებოდა. პროდუქციის გამოშვების ზრდა ყველაზე მაღალია სამეგრელო-ზემო სვანეთის, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთისა და მცხეთა-მთიანეთის მაღალმთიანი დასახლების მქონე მუნიციპალიტეტებში. ყველაზე დაბალი ზრდა 55.2% დაფიქსირდა ქვემო ქართლის მაღალმთიანი დასახლების მქონე მუნიციპალიტეტებში.

ფიგურა 12. პროდუქციის გამოშვების დინამიკა მაღალმთიანი დასახლების მქონე მუნიციპალიტეტებში (2014-2022)



	2014	2015	2016	2017	2018	2019	2020	2021	2022
ქვემო ქართლი	134.8	157.1	187.5	123.4	111.3	120.6	138.2	193.2	171.3
სამცხე-ჯავახეთი	446.2	485.2	589.5	729.5	795.4	998.4	868	1073.2	998.9
სამეგრელო-ზემო სვანეთი	9.7	15.7	15.6	18.3	81.1	62.8	66.3	53.2	65.5
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	28	42.7	47.3	56.4	75.5	90.8	98.5	100.3	119.1
მცხეთა-მთიანეთი	128.4	147.9	175.5	226	196.2	221.6	266.3	248	290
კახეთი	40.3	52.2	55.2	72.8	82	106.4	91	122.3	121.4
აჭარა	92.4	277.1	289	127.5	101.8	221.5	116.1	86	125.7

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მუნიციპალიტეტის სტატისტიკური მაჩვენებლები

2014 წლიდან მაღალმთიანი დასახლების მქონე მუნიციპალიტეტებში დასაქმებულთა რაოდენობა ყოველწლიურად იზრდებოდა, 2020 წლის გამოკლებით. 2022 წელს დასაქმებულად აღირიცხა 57.7%-ით მეტი ადამიანი, ვიდრე 2014 წელს (ბიზნეს სექტორის მონაცემები).

ფიგურა 13. მაღალმთიანი დასახლების მქონე მუნიციპალიტეტებში ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა (2014-2022)



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მუნიციპალიტეტის სტატისტიკური მაჩვენებლები

2022 წლისთვის მაღალმთიანი მუნიციპალიტეტებიდან ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა ყველაზე დიდი რაოდენობა ბორჯომის (5415) და ახალციხის (4295) მუნიციპალიტეტებში ფიქსირდება, ასევე საკმაოდ მაღალია ყაზბეგის მუნიციპალიტეტის მაჩვენებელი (1614), ეს მაჩვენებელი შედარებით მცირეა თიანეთის (481), ცაგერის (329) და ლენტეხის (399) მუნიციპალიტეტებში.

რაც შეეხება მაღალმთიანი დასახლების მქონე მუნიციპალიტეტებში დაქირავებით დასაქმებულთა რაოდენობას, ეს რიცხვი 2022 წელს 2014 წელთან შედარებით 31.8%-ით არის გაზრდილი. დაქირავებით დასაქმებულთა რაოდენობა შემცირებულია ისეთ მუნიციპალიტეტებში, როგორებიცაა ახმეტა (-13%), თიანეთი (-10%), ლენტეხი (-25%), ცაგერი (-62%), წალკა (-26%) და ა.შ.

2014 წლის შემდეგ ბიზნეს სექტორის ინვესტიციები ფიქსირებულ აქტივებში ინვესტიციების შედინება-მატებით და კლებით ხასიათდებოდა. მიუხედავად ეკონომიკის ზრდისა, დაბალი რჩება ინვესტიციების მოცულობა.

ფიგურა 14. ბიზნეს სექტორის ინვესტიციები ფიქსირებულ აქტივებში, 2014-2022 წლებში



	2014	2015	2016	2017	2018	2019	2020	2021	2022
ქვემო ქართლი	6,0	5,1	5,1	3,9	5,9	4,2	6,7	26,7	15,9
სამცხე-ჯავახეთი	426,0	45,9	27,3	27,3	46,1	58,3	100,5	100,5	93.9
სამეგრელო-ზემო სვანეთი	0,1	0,2	41,3	52,4	102,7	51,0	71,0	27,1	56.6
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	0,8	1,2	3,7	10,6	15,3	5,6	3,0	2,5	3.9
მცხეთა-მთიანეთი	20,2	28,4	257,2	15,2	16,3	24,1	2,6	21,2	72.3
კახეთი	10,0	2,5	1,8	1,3	0,9	1,7	3,0	4,0	4,0
აჭარა	2,5	1,1	0,5	0,5	1,6	1,4	0,8	3,5	3.7

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მუნიციპალიტეტის სტატისტიკური მაჩვენებლები

ბიზნეს სექტორის ინვესტიციების თვალსაზრისით, მაღალმთიანი დასახლებების წილი მთელი ქვეყნის ინვესტიციების მაჩვენებლის მხოლოდ 4.27%-ია (2022 წლის მდგომარეობით). 2014-2022 წლებში მაღალმთიან დასახლებებში შექმნილი დამატებული ღირებულება, 2020 წლის გამოკლებით, ყოველ წელს იზრდებოდა. 2022 წელს 2014 წელთან შედარებით დამატებული ღირებულების ეს მაჩვენებელი 110%-ით არის გაზრდილი.

ფიგურა 15. მაღალმთიანი დასახლების მქონე მუნიციპალიტეტებში ჩადებული ინვესტიციები და შექმნილი დამატებითი ღირებულება (2014-2022)



	2014	2015	2016	2017	2018	2019	2020	2021	2022
ინვესტიციები	466	84	337	111	189	146	188	186	250
დამ. ღირებულება	448	518	606	675	739	945	863	996	939

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მუნიციპალიტეტის სტატისტიკური მაჩვენებლები

ფიგურა 16. მაღალმთიანი დასახლების მქონე მუნიციპალიტეტებში პროდუქციის გამოშვება და ბიზნეს სექტორის შუალედური მოხმარება (2014-2022)



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მუნიციპალიტეტის სტატისტიკური მაჩვენებლები

აღსანიშნავია, რომ გადამამუშავებელი მრეწველობის წილი ყველაზე მაღალია ახმეტის, ნინოწმინდის და თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტებში, შედარებით დაბალი - ადიგენის, დუშეთის და ყაზბეგის მუნიციპალიტეტებში. საერთო ჭრილში მაღალმთიანი დასახლების მქონე მუნიციპალიტეტებში დაბალია გადამამუშავებელი მრეწველობის საშუალო წილი (5.49%).

ფიგურა 17. C-სექტორის წილი (დამამუშავებელი მრეწველობა) მოქმედ ბიზნეს სუბიექტთა რაოდენობაში მუნიციპალიტეტების მიხედვით, 2021 წელი



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მუნიციპალიტეტის სტატისტიკური მაჩვენებლები

„მაღალმთიანი დასახლების საწარმოს სტატუსის მინიჭების, შეჩერებისა და შეწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 18 დეკემბრის N633 დადგენილებით გათვალისწინებული მაღალმთიანი დასახლების საწარმოს სტატუსის მქონე პირთა რეესტრის თანახმად, სტატუსის მქონე საწარმოების რაოდენობა მზარდია და 2023 წლის ბოლოსთვის შეადგენს 538-ს, მათ შორის რეგიონულ ჭრილში ყველაზე მეტი რეგისტრირებულია სამცხე-ჯავახეთის, რაჭა-ლეჩხუმის და ქვემო სვანეთის რეგიონებში, ხოლო მუნიციპალურ ჭრილში - ამბროლაურის, ახალქალაქის ნინოწმინდის, მესტიის, წალკის და ცაგერის მუნიციპალიტეტებში.

ფიგურა 18. რეგიონებში რეგისტრირებულ მაღალმთიან საწარმოთა რიცხვი წლების მიხედვით



წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მაღალმთიანი საწარმოების რეესტრი

მაღალმთიან დასახლებებში რეგისტრირებული საწარმოების უმრავლესობა ახორციელებს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებას, აგრეთვე, სამშენებლო მასალების და ავეჯის წარმოებას, ხის დამუშავებას და სხვადასხვა საქმიანობას.

2.4.1 მიკრო, მცირე და საშუალო მეწარმეობა მაღალმთიან დასახლებებში

საქართველოში, ისე როგორც მთელ მსოფლიოში, მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარება ქვეყნის ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტია. ქვეყანაში მცირე და საშუალო საწარმოთა წილი მოქმედ საწარმოთა 99.7%-ს უტოლდება, რაც ნათლად წარმოაჩენს მათ მნიშვნელობას როგორც ეკონომიკური, ისე სოციალური თვალსაზრისით.[10] საბაზრო ეკონომიკის პირობებში, სოციალური გავლენის თვალსაზრისით, დასაქმების მხრივ უდიდესი როლი სწორედ მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას ეკისრება, რადგანაც ის ასაქმებს მოსახლეობის უდიდეს ნაწილს და უზრუნველყოფს მათი შემოსავლების ზრდას.

სსიპ „აწარმოე საქართველოს“ მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის პროგრამის ზეგავლენის შეფასების თანახმად, 2015-2022 წლებში გაცემული 8 209 გრანტმა შექმნა 21 185 სამუშაო ადგილი, რაც ერთ პროექტზე 2.5 დასაქმებულს ნიშნავს - საშუალო დასაქმებულთა

[10] საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგია 2021-2025 https://www.economy.ge/uploads/files/2017/ek__politika/sme_strategy/sme_development_strategy_2021_2025_.pdf

რაოდენობის ზრდა შეადგენდა 43%-ს, ხოლო ბენეფიციართა პროდუქტიულობის ზრდა შეადგენდა 19%-ს.

აღსანიშნავია, რომ მაღალმთიან დასახლებებში კერძო სექტორის განვითარებისა და ახალი სამუშაო ადგილების შექმნის, ახალგაზრდა მეწარმეებისა და ეკონომიკური აქტივობის ზრდის სტიმულირების მიზნით, „მაღალმთიან დასახლებებში სამეწარმეო საქმიანობის ხელშეწყობის პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 29 მაისის №201 დადგენილებით დამტკიცდა პროგრამა, რომელსაც ახორციელებს ააიპ „სოფლის განვითარების სააგენტო“.

2.4.2 სოფლის მეურნეობა

ქვეყნის მიწის რესურსების ტერიტორიული განაწილების კუთხით, საქართველოს მთიან და მთისწინა არეალებზე მოდის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის დაახლოებით 61%. ზღვის დონიდან 1 000 მ-მდე მიწები მებაღეობა-მებოსტნეობის, მევენახეობისა და ინტენსიური მემინდვრეობისთვის გამოიყენება, ხოლო დასავლეთ საქართველო სუბტროპიკული კულტურების გავრცელების არეალია. ზღვის დონიდან 1000 მ-დან და ზევით ძირითადად სათიბ-საძოვრებია განვითარებული.

სოფლის მეურნეობის როგორც პირველადი წარმოების, ისე გადამამუშავებელი წარმოების მხარდაჭერის პროგრამებს ახორციელებს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფი ა(ა)იპ სოფლის განვითარების სააგენტო.„მაღალმთიან დასახლებებში სამეწარმეო საქმიანობის ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამა“ არის სპეციალურად მაღალმთიან დასახლებებში მიკრო, მცირე და საშუალო მეწარმეობის მხარდაჭერისთვის შემუშავებული. აგრეთვე „სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის თანადაფინანსების სახელმწიფო პროგრამის“ ფარგლებში გაკეთდა სპეციალური კომპონენტი, რომელიც ითვალისწინებს მხოლოდ მაღალმთიან დასალებებში მცხოვრები ბენეფიციარებისთვის მოტობლოკების შესყიდვის თანადაფინანსებას. ამის გარდა, მაღალმთიან რეგიონებში სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით, ა(ა)იპ სოფლის განვითარების სააგენტოს, მის მიერ განხორციელებულ პროექტებში/პროგრამებში აქვს სპეციალური პირობები. კერძოდ: სახელმწიფო პროგრამა „დანერგე მომავლის“ და გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების პროგრამის ფარგლებში, მაღალმთიანი დასახლებების ბენეფიციარებისთვის გათვალისწინებულია 10 %-ით მეტი სახელმწიფო თანადაფინასება, ამის გარდა სასოფლო სამეურნეო კოოპერატივებისთვის მექანიზაციის თანადაფინანსების პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია სხვაგვარი უპირატესობა: თუ ბარში მოქმედ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის ან ნაკვეთების ჯამური ფართობი უნდა იყოს 20 ჰა.-ზე ნაკლები, მაღალმთიანი დასახლებების შემთხვევაში ეს მოთხოვნა დაწეულია 10 ჰა.-მდე.

მაღალმთიან დასახლებებში სოფლის მეურნეობის კუთხით გამოწვევაა სასოფლო სამეურნეო დანიშნულების სავარგულების სიმცირე, ნიშური პროდუქციის წარმოების მცირე მასშტაბები,

ტექნოლოგიებზე და ცოდნაზე ხელმისაწვდომობის ნაკლებობა, ახალგაზრდების გადინება და წარმოებული პროდუქციის სიმცირე.

წინა სტრატეგიით დასახული იყო მაღალმთიანი დასახლების მქონე მუნიციპალიტეტებში მიწის რეგისტრაციის საკითხის გაუმჯობესება. ამ კუთხით დაფიქსირდა პროგრესი, თუმცა მაჩვენებელი კვლავაც დაბალია როგორც არასასოფლო კატეგორიის, ისე სასოფლო კატეგორიის მიწის რეგისტრაციის შემთხვევაში.

ფიგურა 19. მაღალმთიანი დასახლების მქონე მუნიციპალიტეტებში საკუთრებაში რეგისტრირებული სასოფლო მიწის პროცენტული წილი



წყარო: საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ადმინისტრაციული მონაცემები

2.4.3 გარემოს დაცვა

საქართველოს მაღალმთიანი დასახლებების მდიდარი და მრავალფეროვანი კულტურული მემკვიდრეობა ქმნის პოტენციალს განვითარებისა და თვითმყოფადობის შენარჩუნებისთვის, თუმცა, მრავალი მათგანი დაზიანებისა და განადგურების საფრთხის პირასაა და აღდგენა-გამაგრებით სამუშაოებს საჭიროებს.

ტყის მასივების უდიდესი ნაწილი მაღალმთიან დასახლებათა ტერიტორიაზეა. ამდენად, მათ მდგომარეობაზე დადებით გავლენას მოახდენს საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული ტყის კოდექსი, რომლის ფარგლებშიც ჩამოყალიბდება ტყით სარგებლობისა და ტყის მდგრადი მართვის სისტემა. იგი უზრუნველყოფს საქართველოში ტყეების რაოდენობრივი თუ ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესებას, ბიომრავალფეროვნების დაცვასა და ტყეების ეკონომიკური პოტენციალის ეფექტიან გამოყენებას, მათი ეკოლოგიური ფასეულობების გათვალისწინებით. ტყეების ეკონომიკური პოტენციალი არ არის ეფექტიანად გამოყენებული. მინიმალურია როგორც ტყის მერქნული (ხის გადამამუშავებელი საწარმოების მხრივ), ასევე, არამერქნული რესურსის გამოყენება. მნიშვნელოვანია ტყითსარგებლობის

ისეთი ქმედითი მიმართულებების დანერგვა, როგორიცაა სამონადირეო მეურნეობების მოწყობა, ტყეების რეკრეაციულ-საკურორტო დანიშნულებით სარგებლობა და ეკოტურიზმის განვითარება -ტურისტული პოტენციალის გამოყენება.

მაღალმთიან დასახლებებში საქართველოს ტყის რესურსის 98%-ია. ყველაზე ტყიანი რეგიონებია: აჭარა (63%) და რაჭა (56%). ტყის მასივების 60%-ზე მეტი ისეთ ფერდობებზეა განლაგებული, რომელთა დახრის კუთხე 25 გრადუსზე მეტია. 35 გრადუსზე მეტი დახრის მქონე ფერდობებზე იზრდება ტყეთა 24% და მათი გამოყენება კანონით აკრძალულია. ტყის თითქმის 60% ზღვის დონიდან 1 000 მეტრზე მეტ სიმაღლეზე მდებარეობს (ცხრილი 1). ტყის ეკოსისტემებში გაბატონებული ჯიშია წიფელი. აღსანიშნავია, რომ რაჭაში არსებობს ე.წ ხელუხლებელი ტყეები, რომლებიც შენარჩუნებულია პირვანდელი სახით და ბიომრავალფეროვნებით. კლიმატის ცვლილების უარყოფითი გავლენა საქართველოში ვლინდება ტყის ეკოსისტემების გავრცელების ზედა საზღვრის ცვლილებით, ხანძრის შემთხვევათა გახშირებით და მავნებელ დაავადებათა გამრავლებით.

2.4.4 ტურიზმი

დიდი და მცირე კავკასიონის მაღალმთიან დასახლებათა უმრავლესობა განსაკუთრებით მიმზიდველია გარე და შიდა ტურიზმისთვის. მაღალმთიანი დასახლებები გამოირჩევა როგორც ზამთრის, ისე ზაფხულის კურორტებით, კულტურული მემკვიდრეობის, ისტორიული, არქეოლოგიური და ბუნებრივი ძეგლებით. 20-ზე მეტ მაღალმთიან დასახლებას მინიჭებული აქვს კურორტის სტატუსი. ისინი კლიმატური და/ან ბალნეოლოგიური ტიპისაა, ხოლო მათი ძირითადი პროფილებია ფთიზიატრიული, ართოროლოგიური, ნევროლოგიური, დერმატოლოგიური, გინეკოლოგიური, პროფილაქტიკური, ალერგოლოგიური, გასტროენტეროლოგიური და პულმონოლოგიური.

საქართველოს რეგიონებში მდებარე კურორტების არსებული მდგომარეობისა და განვითარების პოტენციალის შეფასების მიზნით, სსიპ კურორტების განვითარების სააგენტომ შეისწავლა საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული კურორტები და საკურორტო ადგილები. შესწავლის საფუძველზე შერჩეული ბალნეოლოგიური და კლიმატური კურორტებისა და საკურორტო და ტურისტულად მიმზიდველი ადგილებისთვის მომზადებული 63 ტექნიკურ-ეკონომიკური მიზანშეწონილობის კვლევიდან 68.3% შესწავლა დაეთმო მაღალი მთის ზონაში მდებარე კურორტებსა და საკურორტო ადგილებს.

საყურადღებოა, რომ მაღალმთიანი დასახლებების უმეტესობას არ გააჩნია სივრცის დაგეგმარების ან/და ქალაქთმშენებლობითი გეგმა (გენერალური გეგმა, განაშენიანების გეგმა, განაშენიანების დეტალური გეგმა) ან ხშირ შემთხვევაში, მოქმედი გეგმის დამტკიცებიდან გასულია რამდენიმე წელი და საჭიროებს რევიზიას/გადამუშავებას. ტურისტულად მიმზიდველ დასახლებებში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ტერიტორიების განვითარების/განაშენიანების სწორად დაგეგმვა, რთული რელიეფის, კლიმატის ცვლილების, გეოსაფრთხეების და უნიკალური ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობის პირობებში. აღსანიშნავია ე.წ. ესთეტიკური მახასიათებლების დაცვის სტრატეგიების შემუშავება

განსაკუთრებით იმ დასხლებებში, რომელთაც გააჩნიათ მაღალი ბუნებრივ-კულტურული ღირებულება.

გამოწვევას წარმოადგენს მაღალმთიანი დასახლებების დამოუკიდებელ (თვითკმარ) ფუნქციურ ერთეულებად ჩამოყალიბება, აგრეთვე, სხვადასხვა სერვისებზე (განათლება, ჯანდაცვა, კომერცია და ა.შ.) ხელმისაწვდომობის გაზრდა, ინფრასტრუქტურული უზრუნველყოფა, დაცლადი მოსახლეობის შეკავება, ადგილობრივი ეკონომიკური აქტივობის ზრდა და ა.შ. ამ ყველა საკითხის ინტეგრირება შესაძლებელი იქნება სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაციის შემუშავების გზით.

ტურიზმის სექტორში „საქართველოს მაღალმთიანი დასახლებების განვითარების 2019-2023 წლების სტრატეგიის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 18 ივლისის №343 დადგენილებით დამტკიცებული სტრატეგია, „საქართველოს მაღალმთიანი დასახლებების განვითარების 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 18 ივლისის №342 დადგენილებით და „საქართველოს მაღალმთიანი დასახლებების განვითარების 2021-2023 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 27 აპრილის №189 დადგენილებით დამტკიცებული საქმოქმედო გეგმები მოიცავდა ისეთი ინფრასტრუქტურის მოწყობას როგორიცაა ვიზიტორთა ცენტრი (ყაზბეგი), „თოკების პარკი“ ორ ეროვნულ პარკში (ალგეთი, მტირალა), საგამოფენო სივრცე (ბორჯომი, ხარაგაული), სამთო-საფეხმავლო ბილიკი (მესტია) და სამთო-საფეხმავლო და სალაშქრო ბილიკების მარკირება (ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნულ პარკი, ალგეთის ეროვნული პარკი), ტურისტული ბილიკები და ხიდები ახმეტის მუნიციპალიტეტში, შიდა ქართლში, ქვემო ქართლში; ასევე ტურიზმის ინდუსტრიაში დასაქმებული პირების გადამზადებას, პრეს-ტურებს, ველომარათონს, კულტურული მარშრუტების გაფიცრულებას, თხილამურებსა და სნოუბორდში თავისუფალი სტილით სრიალში ჩემპიონატს, გათოვლიანების სისტემისა, სასრიალო ტრასების და სხვა მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურის მოწყობას.

2015-2022 წლებში მაღალმთიან დასახლებებში ვიზიტორების რაოდენობა მზარდი ტენდენციით ხასიათდებოდა, მათ შორის საერთაშორისო ვიზიტორების კუთხითაც. 2022 წელს, 2015 წელთან შედარებით, ვიზიტორთა რაოდენობა გაზრდილია 54%-ით, ხოლო მათ შორის საერთაშორისო ვიზიტორების რაოდენობა - 46 %-ით.

ფიგურა 20. ვიზიტორების, მათ შორის უცხოელების ჯამური რაოდენობა, მაღალმთიანი დასახლების მქონე მუნიციპალიტეტებში, 2015-2022 წწ.



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მუნიციპალიტეტის სტატისტიკური მაჩვენებლები

აღსანიშნავია, რომ ტურიზმის ზრდამ დადებითი გავლენა იქონია ყველა მაღალმთიანი დასახლების მქონე მუნიციპალიტეტზე, თუმცა არა ყველაზე თანაბრად. 2012-2022 წლებში 21 მაღალმთიანი დასახლების მქონე მუნიციპალიტეტში დეკლარირებული სასტუმროებისა და სასტუმროს ტიპის დაწესებულებების რაოდენობა გაიზარდა 162%-ით, 183-დან 479-მდე, ხოლო აღნიშნულ სასტუმროებში და სასტუმროს ტიპის დაწესებულებებში დასაქმებულთა რაოდენობა გაიზარდა 146%-ით, 1 480-დან 3 642 ადამიანამდე.

2022 წლის მდგომარეობით, სასტუმროების ყველაზე დიდი რაოდენობა, 22% მოდიოდა ბორჯომის მუნიციპალიტეტზე, 17.3% - ყაზბეგის მუნიციპალიტეტზე, 12.7% - მესტიის მუნიციპალიტეტზე, 9.5% - ახალციხის მუნიციპალიტეტზე. 6.5-6.5%-ით შემდეგ ადგილზე არიან ამბროლაურის და ახმეტის მუნიციპალიტეტები. სასტუმროების ყველაზე მცირე რაოდენობაა (0-3) დმანისის, თიანეთის, შუახევის, ნინოწმინდის და წალკის მუნიციპალიტეტებში. დასაქმებულების თითქმის ნახევარი, 43% დასაქმებულია ბორჯომის მუნიციპალიტეტში, 27% ყაზბეგის მუნიციპალიტეტში, ხოლო 5-5.5 პროცენტით შემდეგ ადგილზე თითქმის თანაბრად არიან მესტიის, ახალციხის და ხულოს მუნიციპალიტეტები. 2.5%-ს თანაბრად ინაწილებენ ამბროლაურის, დუშეთის და ახმეტის მუნიციპალიტეტები. 2022 წლის მდგომარეობით, ვიზიტორების რაოდენობით ლიდერობს ყაზბეგის და ბორჯომის მუნიციპალიტეტები, შემდეგ მოდის მესტიის და ახალციხის მუნიციპალიტეტები.

მაღალმთიანი დასახლებები მდიდარია ბუნებრივი რესურსებით, ასევე გამოირჩევა ფლორისა და ფაუნის მრავალფეროვნებით, ამასთანავე, დაცული ტერიტორიების თვალსაზრით, განსაკუთრებით მდიდარია აღმოსავლეთ კავკასიონი და მაღალმთიანი აჭარა. აღნიშნული

გარემოება ტურიზმის განვითარებაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს და განსაკუთრებით იმ მაღალმთიან დასახლებებში, რომლებიც დაცულ ტერიტორიებთან ახლოს მდებარეობენ ტურისტული ნაკადების სიმრავლით გამოირჩევიან. 2019 წელთან შედარებით, 2020 და 2022 წლებში, ყაზბეგის ეროვნული პარკის და ალგეთის ეროვნული პარკის გარდა, მაღალმთიანი დასახლების მქონე მუნიციპალიტეტებში მდებარე დაცული ტერიტორიების ვიზიტორების პროცენტული წილი ვიზიტორთა საერთო რაოდენობაში გაზრდილია.

ფიგურა 21. მაღალმთიან დასახლებებში მდებარე დაცული ტერიტორიების ვიზიტორთა რაოდენობა (2019-2023)



წყარო: სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოს ადმინისტრაციული მონაცემები

ტურიზმის მიმართულებით, განსაკუთრებით იმ მაღალმთიან დასახლებებში, სადაც დაბალია ვიზიტორების რაოდენობა, ტურისტული პოტენციალის ათვისების კუთხით კვლავ არსებობს გამოწვევები, მათ შორისაა ასეთ არეალებში განთავსების ადგილების ნაკლებობა და ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობის ნაკლებობა, განსაკუთრებით ახალგაზრდებისთვის, ინფრასტრუქტურის ხარისხი, არასრულყოფილი ტურისტული სერვისები, კვალიფიციური კადრების ნაკლებობა, ბუნებრივი სტიქიის შედეგად მუნიციპალიტეტის გზების და ხიდების ხშირი დაზიანება, დასუფთავების სერვისის მიწოდების შეფერხება, მარკირებული ბილიკების ნაკლებობა, ტურისტულად მიმზიდველ ძირითად ლოკაციებზე ბუნებრივი აირის არარსებობა, ტურისტულ მარშუტებზე ინფრასტრუქტურის მოუწესრიგებლობა, სატელეფონო და ინტერნეტ კავშირის არარსებობა/შეფერხება, ზოგიერთ ლოკაციამდე მისასვლელ გზებზე მანიშნებლების არარსებობა/სიმცირე, ადგილობრივი ღირშესანიშნაობების და ლოკაციების ცნობადობის ნაკლებობა და სხვა.

2.5 ინფრასტრუქტურა

„საქართველოს მაღალმთიანი დასახლებების განვითარების 2019-2023 წლების სტრატეგიის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 18 ივლისის №343 დადგენილებით დამტკიცებული სტრატეგიის, ასევე, სხვა მიზნობრივი პროგრამების ფარგლებში განხორციელებული უამრავი ინფრასტრუქტურული პროექტის მიუხედავად, მაღალმთიან დასახლებებში საბაზისო ინფრასტრუქტურის კუთხით კვლავ გამოწვევებია და საჭიროებს ეტაპობრივ გაუმჯობესებას.

აღსანიშნავია, რომ გარდა სახელმწიფოს სხვადასხვა პროგრამებისა და უწყებების მიერ განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტებისა, მაღალმთიან დასახლებებში ასევე „მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდის“ და „რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის“ ფარგლებში ხორციელდება ინფრასტრუქტურული პროექტები.

„მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდის“ დაფინანსებით, 2016-2023 წლებში, მხოლოდ ინფრასტრუქტურის ნაწილში განხორციელდა 291 პროექტი საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების, ნაპირსამაგრი/ნაპირდაცვითი სამუშაოების, წყალმომარაგების გაუმჯობესების, რეკრეაციული სივრცეების, საბავშვო ბაღების მშენებლობა/რეაბილიტაციის და სხვა სახის ადგილობრივი ინფრასტრუქტურის მოწესრიგების კუთხით, მათ შორის ყველაზე მეტი, 59% (172 პროექტი) განხორციელდა საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობის კუთხით.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს ტერიტორიაზე სტიქიური პროცესებით განპირობებული გეოეკოლოგიური გართულებები, უმთავრესად, მთის ზონაზე მოდის და ამ მხრივ, სათანადო გარემოსდაცვითი ინფრასტრუქტურის არსებობა, მათ შორის მდინარეების ნაპირსამაგრი და ნაპირდაცვითი ინფრასტრუქტურის მოწყობა მნიშვნელოვანია სტიქიური მოვლენების უარყოფითი ზეგავლენისგან, მათ შორის წყალდიდობისგან მოსახლეობის დაცვის მიზნით.

განათლებისა და კულტურის ინფრასტრუქტურის მიმართულებით, წინა სტრატეგიის ფარგლებში განხორციელდა სკოლა-პანსიონების რეაბილიტაცია (სოფელ მაღაროსკარსა და

ბარისახოში) და მშენებლობა (შატილი), გაიხსნა კოლეჯის ფილიალი ხულოში და რეაბილიტირდა შუახევში არსებული კოლეჯი.

2.5.1. საგზაო ინფრასტრუქტურა

მიუხედავად ბოლო წლების განმავლობაში განხორციელებული არაერთი პროექტისა, რომელიც მიმართული არის არა მხოლოდ რეგიონების და მუნიციპალიტეტების დაკავშირების, არამედ უშუალოდ მუნიციპალიტეტებში კონკრეტულ დასახლებებში არსებული საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგებისათვის, საგზაო ინფრასტრუქტურის მხრივ გამოწვევები კვლავაც რჩება. გამოწვევები იდენტიფიცირებულია მათ შორის უშუალოდ მუნიციპალიტეტების გამოკითხვის თანახმადაც და საჭიროებები მუნიციპალიტეტების მიხედვით სხვადასხვაა.

წინა სტრატეგიის ფარგლებში განსაზღვრული ამოცანის, საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების კუთხით, აღსანიშნავია, რომ 2016-2022 წლებში დაფინანსდა 350 კმ-მდე გზის მშენებლობა/რეაბილიტაცია. გარდა საგზაო ინრასტრუქტურის მოწესრიგებისა, მაღალმთიან დასახლებებში განხორციელდა სანიაღვრე სისტემების სარეაბილიტაციო და მდინარეების კალაპოტების გაწმენდითი სამუშაოები, აგრეთვე, გარკვეულ დასახლებებში მოეწყო წყალმომარაგების ქსელი.[11]

2.5.2. ელექტროენერგია

საშუალოდ, მუნიციპალურ ჭრილში ელექტროენერგიის მიწოდება უზრუნველყოფილია მაღალმთიანი დასახლებების 90%-100%-ისთვის, გარკვეულ მუნიციპალიტეტში ეს მაჩვენებელი 80-90%-ია. 2012-2013 წლებში USAID-მა განახორციელა 4 სოფლის ელექტროფიცირების სამუშაოები: ქარელის მუნიციპალიტეტში სოფელი იმერხევი; დმანისის მუნიციპალიტეტში სოფელი მამიშლარი; ახმეტის მუნიციპალიტეტში სოფელი ჭართალი, დუშეთის მუნიციპალიტეტში სოფელი შატილი. 2013 წელს პროექტის „სინათლე ყველა სოფელს“ ფარგლებში დაიწყო ელექტროენერგიის გარეშე დარჩენილი დასახლებული პუნქტების ელექტრიფიცირების სამუშაოები. სამუშაოები 2016 წელს დასრულდა და 29 უშუქო

[11] „საქართველოს მაღალმთიანი დასახლებების განვითარების 2019-2023 წლების სტრატეგიის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 18 ივლისის №343 დადგენილებით დამტკიცებული სტრატეგიის, „საქართველოს მაღალმთიანი დასახლებების განვითარების 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 18 ივლისის №342 დადგენილებით და „საქართველოს მაღალმთიანი დასახლებების განვითარების 2021-2023 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 27 აპრილის №189 დადგენილებით დამტკიცებული სამოქმედო გეგმების შესრულების ანგარიშები

სოფელში 630 აბონენტი ჩაერთო ელექტროენერგიის მიწოდების ქსელში.[12] ამავე პროექტის ფარგლებში სოფელ მუცოში აშენდა 100 კილოვატიანი ჰიდროელექტროსადგური, რომელიც, ასევე, ემსახურება მუცოს ისტორიული ძეგლის განათებას. პროექტი სრულად დაფინანსდა საქართველოს სახელმწიფოს მიერ. 2019 წელს განხორციელდა მესტიის მუნიციპალიტეტის ორი უშუქო სოფლის ხალდესა და ჰეშკილის ელექტროენერგიით უზრუნველყოფის მიზნით ელექტროგადამცემი ხაზისა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის სამშენებლო სამუშაოები. ჯამში 18 აბონენტს მიეცა ელექტროენერგიის მიწოდების ქსელში ჩართვის საშუალება.

2019 წელს USAID ენერგეტიკის პროგრამამ, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს გაუწია ტექნიკური დახმარება, რაც გულისხმობდა საქართველოში ელექტროენერგიის გარეშე დარჩენილი მოსახლეობის სრულყოფილ აღწერას, მათი ენერგეტიკული საჭიროებების დადგენას, შესაბამისი ტექნიკური კონცეფციის შემუშავებას და მზის სისტემის მოხმარების შესახებ ტრენინგების ჩატარებას. პროგრამის ფარგლებში ქვეყნის მასშტაბით გამოვლინდა ელექტროენერგიის გარეშე დარჩენილი 207 მუდმივად მცხოვრები ოჯახი, რომელთაც დაუმონტაჟდა 1 500 ვატის სიმძლავრის მზის პანელები, ინვერტორები, ენერგო-საცავები და შესაბამისი აღჭურვილობა.

მიუხედავად ბოლო წლებში განხორციელებული აქტივობებისა, ელექტროენერგიის მიწოდება კვლავაც აქტუალურია ზოგიერთი მუნიციპალიტეტის რამდენიმე დასახლებაში. ასეთ დასახლებებში, მოსახლეობის 2014 წლის აღწერით, ძალიან მცირე იყო ან თითქმის არ ცხოვრობდნენ მუდმივი მაცხოვრებლები, ტრადიციულად, მთაში ადიოდნენ დროებით მესაქონლეობის მიზნით და არ აქვთ მოწყობილი ელექტროენერგიის ცენტრალური ხაზი. ელექტროენერგია 100%-ით მიეწოდება ამბროლაურის, ცაგერის, ყაზბეგის მუნიციპალიტეტებს და კახეთის, იმერეთის და სამცხე-ჯავახეთის რეგიონების მუნიციპალიტეტებს, თუმცა არ მიეწოდება სხვა მუნიციპალიტეტების (მაგ. გორის, კასპის, დუშეთის, თიანეთის) რამდენიმე მაღალმთიან დასახლებას. მუნიციპალიტეტების გამოკითხვის თანახმად, ელექტროენერგიის მიწოდება განსაკუთრებით აქტუალურია მცირე მოსახლეობის დასახლებებში, მათ შორის ბარისახოს, უკანა ფშავის, შატილის, გუადამაყრის და სხვა თემებში, სადაც არ არის ელექტროენერგიის გადამცემი ხაზი, ხოლო ახმეტის მუნიციპალიტეტში, თუშეთის 52 დასახლებიდან მხოლოდ ერთშია ელექტროგადამცემი ხაზები, დანარჩენში გამოიყენება ჰელიოსისტემები.

[12] ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, ნატანების მიმდებარედ ფერმერული მეურნეობა „მოლიანის დასახლება“, ზესტაფონის მუნიციპალიტეტი, სოფელი შროშა (ექსეულიძეების უბანი), საჩხერის მუნიციპალიტეტი, სოფელი ჩონთო, გურჯაანის მუნიციპალიტეტი, სოფელი ჭერემი, დუშეთის მუნიციპალიტეტი, სოფლები: კაწალხევი, ნოჯა, კოშკასყელი (წობანი), ნოჯიკეთი, ქვემო და ზემო ღარისწყალი, თიანეთის მუნიციპალიტეტი, სოფლები: ჭიაურა და გრძელველი, მცხეთის მუნიციპალიტეტი, სოფლები: ბევრეთი, კარსანი და ლელუბანი, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი, სოფლები: ბავარი, მანანური, ცხუმალდი და ხაჩეში, ადიგენის მუნიციპალიტეტი, სოფელი უტყისუბანი, დმანისის მუნიციპალიტეტი, სოფელი სოგუთლო, თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი, სოფელი ქვემო ახალშენი, გორის მუნიციპალიტეტი, სოფლები: ზემო ქსოვრისი და გაგლოანთუბანი, კასპის მუნიციპალიტეტი, სოფლები: გოსტიბე და ცხავერი, ქარელის მუნიციპალიტეტი, სოფლები: ზემო ლეთეთი და ოქროსოფელი, ხაშურის მუნიციპალიტეტი, სოფელი ღართა

2.5.3. ინტერნეტიზაცია

„მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდისათვის გათვალისწინებული ასიგნებებიდან თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 27 მარტის N671 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 28 დეკემბერის N2492 განკარგულებით მოხდა თანადაფინანსება დონორი ორგანიზაციებისა და სატელეკომუნიკაციოკომპანიების დახმარებით, ა(ა)იპ - მთის სათემო ქსელის მიერ ფშავ-ხევსურეთისა და გუდამაყრის ხეობებში განხორციელდა სათემო ინტერნეტიზაციის პროექტი. ამასთან, სოციალურად დაუცველმა ოჯახებმა ისარგებლეს ინტერნეტში ჩართვის საფასურის ანაზღაურების ვაუჩერით (აჭარა, რაჭა-ლეჩხუმი ქვემო სვანეთი, სამცხე ჯავახეთი, ქვემო ქართლი).

ბევრ მაღალმთიან დასახლებაში დღემდე გამოწვევად რჩება სტაბილური ოპტიკურ-ბოჭკოვანი ინტერნეტის ხელმისაწვდომობა, რაც ხელს უშლის ასეთ დასახლებებში ტურიზმის განვითარებას. მოსახლეობის სიმცირის და მკაცრი კლიმატური პირობების გამო, ხშირად ძირითადად მხოლოდ მუნიციპალური ცენტრებია უზრუნველყოფილი მეტ-ნაკლებად სწრაფი და სტაბილური ინტერნეტით.

2.5.4. გაზმომარაგება

„საქართველოს მოსახლეობის ბუნებრივი გაზით მომარაგების ხელშეწყობისათვის 2022-2024 წლებში განსახორციელებელ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 29 ოქტომბერის №2120 განკარგულებით დამტკიცდა 3-წლიანი გეგმა დასახლებებისათვის ბუნებრივი გაზით უზრუნველყოფის სამუშაოების განსახორციელებლად. აღნიშნული მნიშვნელოვანია მაღალმთიან დასახლებებში ცხოვრების და მუშაობის ხელსაყრელი პირობების შესაქმნელად, აგრეთვე ტურიზმის განვითარების მიზნით.

გარდა ამისა, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ასიგნებებით ხორციელდება ყაზბეგისა და დუშეთის მუნიციპალიტეტის მაღალმთიანი სოფლების მუდმივი მაცხოვრებლების მიერ მოხმარებული ბუნებრივი გაზის სუბსიდირება.

გაზიფიკაცია გამოწვევად რჩება ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში, სადაც არც ერთი დასახლება არაა გაზიფიცირებული და რაჭაში, სადაც გაზიფიცირებულია დასახლებების მხოლოდ ნაწილი, რაც აფერხებს ტურიზმის განვითარებას. ბუნებრივი გაზის მიწოდება ასევე პირველი რიგის პრიორიტეტებს შორისაა მაღალმთიან აჭარაში, რომელიც მხოლოდ ნაწილობრივ გაზიფიცირებულია და გურიის მაღალმთიანი დასახლების მქონე მუნიციპალიტეტებში, რომელიც არაა გაზიფიცირებული. მაშინ, როცა თითქმის სრულად გაზიფიცირებულია ყაზბეგის მუნიციპალიტეტი და თიანეთის მუნიციპალიტეტი, დუშეთის მუნიციპალიტეტის შვიდი ადმინისტრაციული ერთეული არის ბუნებრივი გაზის გარეშე, რაც შესაძლოა, იწვევდეს ადგილობრივების მიერ ტყეების გაჩეხვას. ახმეტის მუნიციპალიტეტში მხოლოდ დუისისა და ხალაწანის მაღალმთიან დასახლებებს მიეწოდება ბუნებრივი აირი, გამოწვევებია თელავის მუნიციპალიტეტის მაღალმთიან დასახლებებშიც (გომბორის უღელტეხილზე).

ხაშურის მუნიციპალიტეტის დასახლებების 60-70 პროცენტზე მეტს მიეწოდება ბუნებრივი აირი, გორის, კასპისა და ქარელის მაღალმთიანი დასახლებების მხოლოდ 40-50%-ს მიეწოდება ბუნებრივი აირი. სამცხე-ჯავახეთის რეგიონში შედარებით მაღალია გაზიფიკაციის პროცენტული მაჩვენებელი, ქვემო ქართლში, მაგალითად, თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მხოლოდ 10%-ია გაზიფიცირებული, იმერეთში კი აღნიშნული არ ეხება მხოლოდ საჩხერის და ტყიბულის მუნიციპალიტეტებს.

2.5.5. ნარჩენების მართვა

ბოლო წლებში მუნიციპალიტეტებმა გარკვეული ნაბიჯები გადადგეს ნარჩენების მართვასთან დაკავშირებული გამოწვევების მოსაგვარებლად და მათ შორის, მაღალმთიან დასახლებათა უმრავლესობა მყარი ნარჩენების გატანის სერვისით სარგებლობს, თუმცა, გარკვეულწილად კვლავ საჭიროებას წარმოადგენს მაგალითად, მაღალ მთაში გადაადგილებისათვის საჭირო ნაგავმზიდების არსებობა. აქვე აღსანიშნავია, რომ არახელსაყრელი მეტეოროლოგიური პირობების გამო, ზოგიერთი დასახლება ზამთარში იკეტება და აღნიშნული ტერიტორიებიდან ნარჩენების გამოტანა ფერხდება. მაღალმთიან დასახლებების დიდ ნაწილში არ არის საკმარისი ურნები, აგრეთვე, ნარჩენების მზიდი ავტომობილები, რაც განსაკუთრებით ტურისტულად აქტიურ სეზონზე, მათ შორის ტურისტულ ლოკაციებზე აფერხებს ურნების დროულ დაცლას.

მყარ ნარჩენებთან დაკავშირებულ საკითხებზე მუნიციპალიტეტები, შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიასთან“ ერთად ზრუნავენ მუნიციპალიტეტის ყველა დასახლებისათვის გაუმჯობესებული სერვისის მიწოდებაზე და მაღალმთიანი დასახლებებიც ამ ერთიან ხედვაში მოიაზრება.

2.5.6. წყალმომარაგება

სახელმწიფოს მიერ წყალმომარაგების კუთხით განხორციელებული მასშტაბური პროექტების მიუხედავად, მაღალმთიანი დასახლებების გარკვეული ნაწილისთვის 24 საათიანი წყალმომარაგებით უზრუნველყოფა კვლავ გამოწვევას წარმოადგენს, მწყობრიდან გამოსული და ზოგ შემთხვევაში, არარსებული ინფრასტრუქტურის გამო. აღნიშნული გამოწვევა ზოგიერთ შემთხვევაში დაკავშირებულია რთულ გეოგრაფიულ-რელიეფურ მდგომარეობასთანაც. მნიშვნელოვანია, რომ გაგრძელდეს ინფრასტრუქტურის მოწესრიგება სტანდარტებთან შესაბამის წყალმომარაგებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით.

2.6. სოციალური და კერძო სერვისების ხელმისაწვდომობა

გასული სტრატეგიის ფარგლებში, ასევე, განხორციელდა სერვისების ხელმისაწვდომობაზე მიმართული აქტივობები - აშენდა და ამოქმედდა საზოგადოებრივი ცენტრები (რომლებიც, ამჟამად, იუსტიციის სახლის სახით ფუნქციონირებენ).

ევროკავშირის ქვეყნების გამოცდილებამაც აჩვენა, რომ გარდა იმისა, რომ მაღალმთიანი რეგიონებიდან ახალგაზრდების წასვლა უკავშირდება სწავლას და უფრო დივერსიფიცირებული სამუშაო ადგილების ძებნას, მიზეზებს შორის, ასევე, არის გარკვეულ სერვისებზე წვდომის ნაკლებობა, არასაკმარისი კულტურული აქტივობები, სერვისებამდე ან სამსახურამდე შორი მანძილი და მკაცრი კლიმატური პირობები. [13]

სერვისების მიწოდების კუთხით, აღსანიშნავია, რომ ფილიალებითა და მობილური იუსტიციის სახლებით დაფარულია 43 მაღალმთიანი დასახლება და მოსახლეობას ადგილზე მიეწოდება 470-ზე მეტი სერვისი. [14] მობილური იუსტიციის სახლის იდეა შეესაბამება გაეროს მდგრადი განვითარების მიზნებსა და ერთ-ერთ ძირითად პრინციპს „არავინ დარჩეს განვითარების მიღმა“. კონკრეტულ არეალში მობილური იუსტიციის სახლის გაშვებამდე 1 თვით ადრე დეტალური ინფორმაცია ქვეყნდება იუსტიციის სახლის ოფიციალურ ვებგვერდზე. ასევე, მუნიციპალიტეტებთან კომუნიკაციის შედეგად, მიმდინარეობს მოსახლეობის ინფორმირება, რაც ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე დეტალური ინფორმაციის გავრცელებას მობილური იუსტიციის სახლის გაშვების ადგილსა და განრიგთან დაკავშირებით. ამასთანავე, იუსტიციის სახლის მხრიდან ხორციელდება შესაბამისი ბანერებისა და საინფორმაციო პოსტების განთავსება არა მარტო გაშვების ლოკაციაზე, არამედ, მთელი საქართველოს მასშტაბით, იუსტიციის სახლის თითოეულ ფილიალში.

მიუხედავად აღნიშნულისა, სტრატეგიის შემუშავების პროცესში, საქართველოს მუნიციპალიტეტებში განხორციელებული მოკვლევის საფუძველზე, მაღალმთიან დასახლებებში ერთ-ერთ მნიშვნელოვან საჭიროებად გამოიკვეთა გარკვეულ სერვისებზე ხელმისაწვდომობა ადგილზევე, ადმინისტრაციულ ცენტრში ჩაუსვლელად. მათ შორის, დასახელდა სოფლებში არაფორმალური საგანმანათლებლო ცენტრებისა და ახალგაზრდული სივრცეების ნაკლებობა, შსს მომსახურების სააგენტოს და მართვის მოწმობის საგამოცდო ცენტრის საჭიროება, საბანკო მომსახურება, იურიდიულ საკითხებთან დაკავშირებით მომსახურება, სასურსათო მაღაზიებისა და სააფთიაქო ქსელის ნაკლებობა, საზოგადოებრივი ტრანსპორტის საჭიროება და ა.შ.

---

[13] Policies against Depopulation in Mountanous Areas (PADIMA), https://www.euromontana.org/wp content/uploads/2014/08/PADIMA_policy_guidlines_EN.pdf

[14] მოქმედებს იუსტიციის სახლები: უსახელოს, ხრეითის, ადიგენის, ვალეს, დაბა ბაკურიანის, მანგლისის, ქედას, შუახევის, ხულოს, ყაზბეგის, ამბროლაურის, ლენტეხის, ონის, ცაგერის, მესტიის, ახალქალაქის, კუმურდოს, ბარალეთის, ნინოწმინდის იუსტიციის სახლები და მიმდინარეობს ზოტის იუსტიციის სახლის მშენებლობა

2.6.1. განათლება და სპორტი მაღალმთიან დასახლებებში

სასკოლო პროგრამების კუთხით, წინამორბედი სტრატეგიის ფარგლებში, მოეწყო არაფორმალური განათლების წრეები მაღალმთიან დასახლებებში არსებულ სკოლებში, 700-ზე მეტი მოსწავლე ჩაერთო პროფესიული უნარების კურსებში, სკოლის მოსწავლეებისათვის უზრუნველყოფილი იქნა ტრანსპორტი, გადამზადდნენ საბავშვო ბაღების აღმზრდელები და მეთოდისტები, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბაზაზე შეიქმნა მთის ფაკულტეტი და მომზადდა შესაბამისი სასწავლო პროგრამა. აღსანიშნავია, საჯარო სკოლების მასწავლებელთა შრომის ანაზღაურების დანამატი - საჯარო მაღალმთიან დასახლებაში მდებარე საჯარო სკოლის მასწავლებლის დანამატი 2016 წლის 1 სექტემბრიდან და სახელფასო დანამატი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებებში მომუშავე მასწავლებლებისათვის - მაღალმთიან დასახლებაში მდებარე პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებებში მომუშავე მასწავლებლები იღებენ დანამატს შრომის ანაზღაურების არანაკლებ 35%-ის ოდენობით. ასევე აღსანიშნავია, სახელფასო დანამატი სპორტის სფეროში დასაქმებული მწვრთნელებისათვის. ამ პროგრამის შესაბამისად, მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მქონე და მომუშავე მწვრთნელებს ეძლევათ დანამატები.

2011-2023 წლებში, სკოლის მოსწავლეთა რიცხოვნობა მაღალმთიან დასახლებებში კლების ტენდენციით ხასიათდება. საჯარო სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში ჩართულ ბავშვთა რაოდენობა მოსახლეობის 1 000 კაცზე მაღალმთიანი დასხლების მქონე მუნიციპალიტეტში შეადგენს 33-ს, რაც 7 პროცენტული პუნქტით ჩამორჩება საქართველოს საერთო მაჩვენებელს (40). ეს მაჩვენებელი ყველაზე მაღალია ყაზბეგის, ნინოწმინდას, მესტიის და ახალციხის მუნიციპალიტეტებში.

ფიგურა 22. საჯარო სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში ჩართულ ბავშვთა რაოდენობა მოსახლეობის 1 000 კაცზე



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მუნიციპალიტეტის სტატისტიკური მაჩვენებლები

განსხვავებული მდგომარეობაა მაღალმთიანი დასახლების მქონე მუნიციპალიტეტებს შორის 1 000 მოსახლეზე საშუალო სკოლის კურსდამთავრებულთა რიცხოვნობის თვალსაზრისითაც. ეს მაჩვენებელი ყველაზე დაბალია რაჭა-ლეჩხუმის და ქვემო სვანეთის რეგიონში, ასევე მუნიციპალურ ჭრილში, ქედას და დუშეთის მუნიციპალიტეტებში.

ფიგურა 23. საშუალო სკოლის კურსდამთავრებულთა რიცხოვნობა 1000 მოსახლეზე



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მუნიციპალიტეტის სტატისტიკური მაჩვენებლები

მიუხედავად ბოლო წლებში რეაბილიტირებული და აშენებული სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებისა და საჯარო სკოლებისა, კვლავაც გამოწვევას წარმოადგენს ამ მხრივ არსებული მდგომარეობა, რამდენიმე მუნიციპალიტეტის გარდა, არა მხოლოდ დემოგრაფიული გამოწვევების მქონე, არამედ შედარებით ახალგაზრდა მოსახლეობის მქონე რეგიონებშიც.

ამასთან, ბოლო წლებში არაერთი აქტივობა განხორციელდა პროფესიული განათლების ხარისხის გაუმჯობესებისა და შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობის გაზრდის მიზნით. აქტიურად დაიწყო საგანმანათლებლო პროგრამების რეფორმა და ამ პროცესში დამსაქმებლების ჩართვა; მეწარმეობის სწავლება გახდა საგანმანათლებლო პროგრამების სავალდებულო კომპონენტი. აღსანიშნავია, რომ განხორციელებული რეფორმა პოზიტიურად აისახა პროფესიული პროგრამების კურსდამთავრებულთა დასაქმებისა და თვითდასაქმების მაჩვენებელზე, თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პროფესიული განათლების სისტემაში კვლავ რჩება გამოწვევები, რომლებიც უკავშირდება პროფესიული განათლების გეოგრაფიულ ხელმისაწვდომობას, პროფესიული განათლების პოპულარობასა და შრომის ბაზრის მოთხოვნებზე სწრაფ რეაგირებას. თითქმის ყველა რეგიონის მაღალმთიან დასახლებაში დგას არაფორმალური განათლებისა და ფორმალური პროფესიული განათლების მიღების შესაძლებლობების ნაკლებობა. საქართველოს ტერიტორიაზე 76 პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებიდან მხოლოდ 9 პროფესიული საგანმანათლებლო

პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულებაა[15] უშუალოდ მაღალმთიან დასახლებაში, მათი პროგრამები მორგებულია ტრადიციულ მეურნეობას და არ არის დივერსიფიცირებული ახლაგაზრდებისთვის საინტერესო ახალ პროფესიებზე და სამეწარმეო უნარების განვითარებაზე.

მაღალმთიან დასახლებებში არის აგრეთვე, სპორტული კომპლექსების, სპორტის სხვადასხვა სახეობის დახურული დარბაზების, აუზების საჭიროება.[16]

2.6.2. ჯანდაცვის სერვისები

მუნიციპალიტეტების მერიების გამოკითხვით, ერთ-ერთ ყველაზე დეფიციტურ სერვისად თითქმის ყველა მაღალმთიანი დასახლების მქონე მუნიციპალიტეტში ფიქსირდება ხარისხიანი ჯანდაცვის მომსახურეობაზე ხელმისაწვდომობა გადაუდებელი ამბულატორიული და სტაციონარული მომსახურების მისაღებად. აღნიშნული მიზეზით მაღალმთიან მოსახლეობას უწევს დედაქალაქში ან რეგიონულ ცენტრში ჯანდაცვის მომსახურების მისაღებად რეგულარული მოგზაურება. ჯანდაცვის სერვისების დეფიციტი ასევე შეიძლება იყოს მაღალმთიან დასახლებებში ცხოვრებისგან თავის შეკავების ერთ-ერთი მიზეზი სამუშაო ასაკის მქონე მოსახლეობისთვის.

2.6.3. ტრანსპორტი

თითქმის ყველა მუნიციპალიტეტში მცირეა იმ მაღალმთიანი დასახლებების წილი, სადაც, გამოკითხვის თანახმად, უზრუნველყოფილია დასახლებიდან მუნიციპალურ ცენტრამდე მუნიციპალური/საზოგადოებრივი ტრანსპორტის რეგულარული (სულ მცირე დღეში ორჯერ) მიწოდება. პრობლემა განსაკუთრებით თავს იჩენს მცირემოსახლიან დასახლებებში, სადაც კერძო სექტორისთვის აღნიშნული სერვისის მიწოდება კომერციულად არარენტაბელურია.

2.7. გამოვლენილი გამოწვევების შეჯამება

ბოლო წლებში განხორციელებული მნიშვნელოვანი სახელმწიფო ინვესტიციების მიუხედავად, მაღალმთიან დასახლებებში კვლავ მთავარ გამოწვევად რჩება ცხოვრებისა და

---

[15] სსიპ ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის დაბა თიანეთისა და დაბა სტეფანწმინდის დამატებითი სასწავლო ფართი; სსიპ კოლეჯი ახალი ტალღა - დაბა ხულო; ა(ა)იპ სათავგადასავლო ტურიზმის სკოლა - დაბა გუდაური; სსიპ კოლეჯი ,,ერქვანი" - ქ. ამბროლაური; სსიპ კოლეჯი ,,ბლექსი" - დაბა ქედა, დაბა შუახევი; სსიპ-კოლეჯი "თეთნულდი" - დაბა მესტია; სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახ. უნივერსიტეტი - ქ. ახალქალაქი; შპს შვეიცარიული აგრარული სკოლა კავკასია - ქ. დმანისი

[16] მუნიციპალიტეტების გამოკითხვა

მუშაობისათვის არახელსაყრელი პირობები, რაც აუარესებს დემოგრაფიული მაჩვენებლებს: 2015-2021 წლებში, არამაღალმთიანი დასახლებების მსგავსად უმეტეს მაღალმთიანი დასახლების მქონე მუნიციპალიტეტშიც შემცირებულია მოსახლეობა, განსაკუთრებით ახალგაზრდების, უარყოფითია ბუნებრივი მატება და დაბალია შობადობის მაჩვენებელი, გარდა რამდენიმე მუნიციპალიტეტისა. გასათვალისწინებელია, რომ მოსახლეობის შემცირება უფრო მაღალი იყო არამაღალმთიანი დასახლების მქონე მუნიციპალიტეტებში (თბილისის ჩაუთვლელად), რაც მეტყველებს იმაზე, რომ მაღალმთიან დასახლებებში მთავრობის ინტერვენციებს ჰქონდა ერთგვარი შემამსუბუქებელი ეფექტი. კვლავ მაღალია საშუალო ასაკი და მოსახლეობაში ასაკოვანი მოქალაქეების წილი, აგრეთვე, მაღალია ძირითადად ახალგაზრდების ემიგრაცია, რაც არაერთი მაღალმთიანი მუნიციპალიტეტის მიერ მთავარ გამოწვევად სახელდება.

ფიგურა 24. მოსახლეობაში 20-39 წლის ჯგუფების რაოდენობა 2017-2023 წლებში



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის დემოგრაფიული სტატისტიკა

ახალგაზრდების ემიგრაციის მიზეზად შესაძლებელია ჩაითვალოს ის ფაქტი, რომ მიდიან დიდ ქალაქებსა და უცხოეთში უმაღლესი განათლების მისაღებად და დასაქმებისთვის, შემდეგ კი უჭირთ უკან დაბრუნება, რასაც ხელს უშლის როგორც ადგილზე არადივერსიფიცირებული ეკონომიკა და სამუშაო ადგილების სიმცირე, ისე ცხოვრებისთვის არახელსაყრელი პირობები (იხ. პრობლემის ხე ქვემოთ).

პრობლემის ხე



3. სტრატეგიის ხედვა

წინამდებარე სტრატეგიის შემუშავებისას გათვალისწინებული იქნა „საქართველოს მაღალმთიანი დასახლებების განვითარების 2019-2023 წლების სტრატეგიის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 18 ივლისის №343 დადგენილებით დამტკიცებული სტრატეგიის განხორციელების შედეგად მიღებული გამოცდილება, სიტუაციური ანალიზის შედეგად გამოკვეთილი გამოწვევები, აგრეთვე, მთის ტერიტორიების თანამშრომლობისა და განვითარების ევროპული მრავალსექტორული ასოციაციის (Euromontana) წევრი მოწინავე ხუთი ქვეყნის მაღალმთიანი დასახლებების დეპოპულაციის წინააღმდეგ საუკეთესო პრაქტიკის შემსწავლელი პლატფორმის (PADIMA)[17] რეკომენდაციები, რომლის თანახმად, მაღალმთიანი დასახლებებიდან მოსახლეობის დეპოპულაციის წინააღმდეგ პოლიტიკა უნდა პასუხობდეს იმ მიზეზებს, თუ რატომ ტოვებს მოსახლეობა ასეთ დასახლებებს და რა დაეხმარებოდა მათ დარჩენაში.

სტრატეგიის გრძელვადიანი ხედვაა, რომ მაღალმთიან დასახლებებებში ცხოვრება და მუშაობა გახდეს უფრო მიმზიდველი, განსაკუთრებით ახალგაზრდებისა და სამუშაო ასაკის მოსახლეობისთვის, ამასთანავე, დროთა განმავლობაში შემცირდეს სოციალურ-ეკონომიკური უთანაბრობები როგორც მაღალმთიანი დასახლების მქონე და მაღალმთიანი დასახლების არ მქონე მუნიციპალიტეტებს შორის, ისე მაღალმთიანი დასახლების მქონე მუნიციპალიტეტებსა და საშუალო ეროვნულ მაჩვენებლებს შორის.

მაღალმთიანი დასახლებებისადმი სახელმწიფოს პოლიტიკა გამოიყენებს როგორც საერთო ინსტრუმენტებს, ისე დიფერენცირებულ მიდგომებს, რომელშიც გათვალისწინებული იქნება მათი განვითარების განსხვავებული მდგომარეობა და ტერიტორიული საჭიროებები. ინტერვენციებისა და პროგრამების დაგეგმვისას გათვალისწინებული იქნება მაღალმთიან დასახლებებს შორის არსებული უთანაბრობები რიგი ინფრასტრუქტურული, ეკონომიკური, დემოგრაფიული და ტერიტორიული მახასიათებლების თვალსაზრისით.

შედარებით ეკონომიკურად განვითარებულ და მოსახლეობით მრავალრიცხოვან მაღალმთიან დასახლებებებში სახელმწიფო უპირველესად გააგრძელებს ისეთი ინფრასტრუქტურული და სერვისების მხრივ არსებული გამოწვევების გადაჭრას, რომელმაც შესაძლოა შეაფერხოს ეკონომიკის და მათ შორის ტურიზმის განვითარება ან მოსახლეობისათვის ხარისხიანი სერვისების ხელმისაწვდომობა (მაგ. საგზაო ინფრასტრუქტურა, კომუნიკაციები და საზოგადოებრივ-ადმინისტრაციული ცენტრები, სკოლები, საბავშვო ბაღები, ახალგაზრდული სივრცეები დ ა.შ.). ანალიზმა აჩვენა, რომ ასეთ მაღალმთიან დასახლებებში მაღალია ეკონომიკური აქტივობა, კერძო სექტორის ინვესტიციები, ტურიზმისა და მშენებლობის მასშტაბები, დასაქმება და საშუალო ხელფასი, რაც შესაბამისად, ადგილობრივი თვითმმართველობის მეტ ფინანსურ შესაძლებლობებზეც აისახება და ზოგადად, დემოგრაფიულ მაჩვენებლებზეც - მეტ-ნაკლებად შენარჩუნებულია ადგილობრივი მოსახლეობის რაოდენობა, მაღალია შობადობა და მოსახლეობის სიმჭიდროვე.

[17] Policies against Depopulation in Mountanous Areas, https://www.euromontana.org/padima/

მაღალმთიან დასახლებებში, სადაც დემოგრაფიული და ეკონომიკური გამოწვევებია, მოსახლეობა მცირდება, შობადობა დაბალია და დაბერების ტენდენციაა, აგრეთვე, მაღალია ჰიპსომეტრიული სიმაღლე, გართულებულია მიწვდომადობა რთული გეოგრაფიული ლანდშაფტის გამო, მცირეა ვიზიტორების, სასტუმროების რაოდენობა და ეკონომიკის ზომა, მნიშვნელოვანია საბაზისო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, ინდივიდუალური ინიციატივების მხარდაჭერა, მიზიდულობის თუნდაც მცირე წერტილების შექმნა, სახელმწიფოს მხრიდან ტურისტული აქტივობის სტიმულირება, მთაში დაბრუნებისა და მცირე ბიზნეს ინიციატივების უფრო აქტიური მხარდაჭერა, რაც გრძელვადიან პერსპექტივაში მასშტაბური პოზიტიური გავლენის მომტანი იქნება. განსაკუთრებით ასეთი მაღალმთიანი დასახლებების განვითარების მიმართ, ინფრასტრუქტურულ ნაწილში, სახელმწიფო გამოიყენებს ევროკავშირის კოჰეზიის (გათანაბრების) პოლიტიკისადმი დამახასიათებელი ინტეგრირებული განვითარებისა და ტერიტორიული მიდგომის პრინციპებს, რაც გულისხმობს კონკრეტული ტერიტორიების განვითარებაზე მორგებულ ინიციატივებს. დიდი დასახლებებისა და მუნიციპალიტეტების ნაცვლად ასეთი ინტერვენციები უფრო მეტად ნაკლებ განვითარებული არეალების განახლება-განვითარებაზე და მოსახლეობის დაბრუნებისა და შემოსავლების მაგენერირებელ შედეგებზე იქნება მიმართული. ეს გულისხმობს მაგალითად, კულტურული თუ ბუნებრივი ძეგლის მიმდებარედ ტურისტული ინფრასტრუქტურის (მისასვლელი გზა, გადასახედი, საფეხმავლო ბილიკები, საინფორმაციო აბრები, საპიკნიკე და საპარკინგე ადგილები) მოწყობას. მსგავსი მიდგომა იქნება გამოყენებული ტურისტულად აქტიური მუნიციპალიტეტებისა და ისტორიული მხარეების ისეთი ადმინისტრაციული ერთეულების, გეოგრაფიული ლოკაციებისა თუ დასახლებების შემთხვევაშიც, სადაც ტურისტული პოტენციალი ჯერ კიდევ ასათვისებელია.

აღნიშნული მიდგომა საშუალებას იძლევა მაღალმთიანი დასახლებების დაფინანსება გაერთიანდეს ინტეგრირებული ტერიტორიული განვითარების პრინციპებზე აგებულ რეგიონული პოლიტიკის დაფინანსების მოდელთან და თავსებადი გახდეს ევროკავშირის და სხვა საერთაშორისო დონორების დაფინანსების პრინციპებთან, რაც თავის მხრივ მნიშვნელოვნად გაზრდის საქართველოს რეგიონების და მთის განვითარებისთვის ხელმისაწვდომ სახსრებს. მაღალმთიანი ტერიტორიების და მათთან ინტეგრირებული მომიჯნავე არამაღალმთიანი დასახლებების დაკლასტერება, ერთგვარი სპეციალური ზონების გამოყოფა შექმნის შესაძლებლობას მაღალმთიანი რეგიონები განხილული იქნეს არა მხოლოდ გამოწვევების, არამედ შესაძლებლობების თვალსაზრისით. შემდგომი განვითარებისთვის და მაღალმთიანი დასახლებების პოტენციალის მაქსიმალური ათვისებისათვის მნიშვნელოვანია, რომ განვითარების ხედვა გასცდეს მთის და ზოგადად, სოფლის ტრადიციულ საკითხებს/საჭიროებებს და უფრო მეტი აქცენტი გაკეთდეს მაღალმთიანი დასახლებების ურბანულ ცენტრებთან, არამაღალმთიან დასახლებებთან ეკონომიკურ კავშირებზე.

საერთაშორისო პრაქტიკის და მაგალითების მიხედვით, მაღალმთიანი ტერიტორიების მიმდებარე დაბლობებთან დაჯგუფებამ უკეთესი საფუძველი შექმნა იმისათვის, რომ მაღალმთიანი დასახლებები მოაზრებული იქნას არა მხოლოდ გამოწვევების, არამედ შესაძლებლობების თვალსაზრისითაც. მაღალმთიანი დასახლებების უმრავლესობა ისტორიულად, გეოგრაფიულად და სოციალურ-ეკონომიკურად ინტეგრირებულია ახლომდებარე არამაღალმთიან დასახლებებთან და სწორედ ეს კავშირი განსაზღვრავს აღნიშნულ ტერიტორიებზე ეკონომიკურ და დემოგრაფიულ მდგომარეობას, ეკონომიკური დერეფნების, სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკის, მიგრაციისა და დასაქმების მხრივ. აქედან

გამომდინარე, მაღალმთიან დასახლებებში ეკონომიკური ზრდის სტიმულირება არამაღალმთიანი დასახლებების შესაბამის ღირებულებათა ჯაჭვებთან, სოციალურ და დემოგრაფიულ საკითხებთან დაკავშირების გარეშე პროდუქტიული და ეფექტიანი არ იქნება.

გასათვალისწინებელია, რომ მაღალმთიან დასახლებებებთან მიმართებაში ინტეგრირებული ტერიტორიული განვითარება თავის მხრივ საჭიროებს გარკვეულ ინვესტიციებს როგორც ფუნქციური არეალების და ტერიტორიების იდენტიფიცირებისთვის, ისე, მათი საჭიროებების გამოსაკვეთად, განვითარების გეგმების შემუშავებისთვის და შესაბამისი პროექტების თუ პროგრამების მოსამზადებლად.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, „საქართველოს მაღალმთიანი დასახლებების განვითარების 2024-2030 წლების სტრატეგიით“ განსაზღვრული გრძელვადიანი ხედვა მიიღწევა ანალიზის შედეგად იდენტიფიცირებული სამი სექტორული პრიორიტეტის ფარგლებში - მეწარმეობა, ინფრასტრუქტურა და სერვისები - დასახული მიზნებისა და ამოცანების რეალიზებით. სექტორული პრიორიტეტების ვრცელი ნუსხა თავდაპირველად შედგენილ იქნა PADIMA-ის რეკომენდაციების და ლიტერატურის მიმოხილვის გზით, ხოლო ზემოაღნიშნული სამი მთავარი პრიორიტეტის შერჩევა და საბოლოო შეთანხმება მაკოორდინირებელი ორგანოს, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ, მოხდა „მაღალმთიანი დასახლებების განვითარების 2024-2030 წლების სტრატეგიისა და მისი სამოქმედო გეგმ(ებ)ის შემუშავებისა და განხორციელების მიზნით შექმნილი საკოორდინაციო საბჭოს სხდომაზე. მაღალმთიან დასახლებებში სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მიზნების კონტექსტში ერთმანეთს შედარდა პოლიტიკის ზოგადი ალტერნატივები - კანონით გათვალისწინებული სოციალური დანამატები და შეღავათები მოწყვლადი ჯგუფებისთვის საგადასახადო შეღავათები და ინფრასტრუქტურის განვითარება. აქტივობების დაგეგმვის პროცესში, კანონით გათვალისწინებული სავალდებული სოციალური შეღავათების პარალელურად, უპირატესობა მიენიჭა ინფრასტრუქტურული ტიპის პროექტებს, რადგან მათი დადებითი ეკონომიკური გავლენის შესახებ არსებობს მყარი მტკიცებულებები, როგორც საერთაშორისო დონეზე, ისე საქართველოში. კერძოდ, „საკოორდინაციო საბჭომ“ იხელმძღვანელა ჩიკაგოს უნივერსიტეტის კვლევითი ცენტრის (NORC) მიერ 2013 წელს ჩატარებული სამცხე-ჯავახეთის გზის რეაბილიტაციის პროექტის გავლენის შეფასებით[18], რომელმაც აჩვენა ძლიერი მტკიცებულება, რომ საგზაო-საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურას მოჰყვება დადებითი სოციალურ-ეკონომიკური შედეგები მაღალმთიან დასახლებებში.

4. სექტორული პრიორიტეტები, მიზნები და ამოცანები

[18] Measuring Results of the Georgia Samtskhe-Javakheti Road Rehabilitation Activity, (Millennium Challenge Corporation 2016); Final Report, Samtskhe-Javakheti Roads Activity Impact Evaluation, NORC, 2013 კვლევაში გამოყენებული იყო „განსხვავება განსხვავებებში“ და „მისადაგებული შედარების“ კვლევის დიზაინი კონტრფაქტორული ანალიზისთვის.

სტრატეგიით დასახული ხედვის მისაღწევად, სექტორული პრიორიტეტების მიხედვით მიზნები და ამოცანები ჩამოყალიბდა მაღალმთიანი დასახლებებისა და მათ გარშემო არსებული სიტუაციის ანალიზის შედეგად გაკეთებული დასკვნების საფუძველზე.

აღნიშნული მიდგომის საფუძველზე, 3 სექტორული პრიორიტეტის მიხედვით დასახულია 3 მიზანი და ჩამოყალიბებულია 8 ამოცანა.

სექტორული პრიორიტეტი - მეწარმეობა

მიზანი 1. მაღალმთიან დასახლებებში სამუშაო ადგილების შექმნა ადგილობრივი ეკონომიკის დივერსიფიკაციის გზით

დასავლური ქვეყნების პრაქტიკის და წინა სტრატეგიის შედეგების გათვალისწინებით, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სამუშაო ადგილების შექმნას ახალგაზრდებისა და სამუშაო ძალისთვის (სამუშაო ასაკის მოსახლეობისთვის). იქიდან გამომდინარე, რომ მაღალმთიანი დასახლებების უმეტესობის ეკონომიკა დამოკიდებულია ტრადიციულ სექტორებზე, როგორიცაა სოფლის მეურნეობა და სეზონური ტურიზმი (ზაფხულის ან ზამთრის), ხოლო მაღალია ახალგაზრდა და საშუალო ასაკის მოსახლეობის ემიგრაცია, მნიშვნელოვანია სამუშაო ადგილების დივერსიფიკაცია, სამუშაო ასაკის მოსახლეობისთვის მთის მიმზიდველობის წარმოჩენა და ბიზნესის დაწყებისა და სოფლის მეურნეობის გადამამუშავებელ წარმოებაში ჩართვისკენ ახალი თაობის წახალისება.

საქართველოს მთის ადგილობრივი რესურსების კონტექსტში ერთ-ერთი ყველაზე პერსპექტიული მიმართულებაა ტურიზმი და დასასვენებელი სერვისები. მთა ასოცირდება ცხოვრების ხარისხის ისეთ მნიშვნელოვან ღირებულებებთან, როგორიცაა ბუნებასთან სიახლოვე, სუფთა ჰაერი, სიმშვიდე, თვალწარმტაცი ხედები და ლანდშაფტი. საქართველოს მთიანეთი იძლევა უნიკალურ შესაძლებლობას მდგრადი სამთო, ეკო, გასტრო, სამკურნალო და გამაჯანსაღებელი ტურიზმის განვითარებისთვის ისე, რომ ამავდროულად, დაცულ იქნეს უნიკალური ლანდშაფტი. საერთაშორისო კონტექსტში, ალპების მაგალითზე ევროპის გამოცდილებამ აჩვენა სამთო ტურიზმის ეკონომიკური მნიშვნელობა[19].

დემოგრაფიული და ეკონომიკური გამოწვევების წინაშე მდგომი მაღალმთიანი დასახლებების განვითრებისთვის, იმ მუნიციპალიტეტებსა და ადმინისტრაციულ ერთეულებში, სადაც ტურისტული აქტივობა შედარებით დაბალია, სახელმწიფო შეეცდება აქ არსებული უნიკალური ბუნებრივი შესაძლებლობების გამოყენებას ინფრასტრუქტურის მოწესრიგების, პოპულარიზაციის, მოსახლეობის უნარების ამაღლებისა და ფინანსური ხელმისაწვდომის

[19] Sustainable tourism in mountainous regions; K. Meyer-Cech & U. Pröbstl Department of Spatial, Landscape and Infrastructure Sciences, University of Natural Resources and Applied Life Sciences, Vienna, Austria, https://www.researchgate.net/publication/271450405_Sustainable_tourism_in_mountainous_rerions

გაზრდის მეშვეობით. ამ კონტექსტში, განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდება ისეთ ისტორიულ-გეოგრაფიულ მხარეებზე, როგორიცაა მთიულეთი, გუდამაყარი, ფშავ-ხევსურეთი, ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი, აგრეთვე, ტურისტულად ნაკლებად განვითარებულ არეალებზე, მაღალმთიანი აჭარისა და გურიის, ხევის, თუშეთის, ასევე შიდა ქართლის და ქვემო ქართლის ცალკეული მაღალმთიანი დასახლებების მქონე მუნიციპალიტეტებში, ადმინისტრაციულ ერთეულებსა და დასახლებებში.

ამოცანა 1.1. მაღალმთიან დასახლებებში მიკრო, მცირე და საშუალო მეწარმეობის მხარდაჭერა, განსაკუთრებით ახალგაზრდებს შორის

ახალი სამუშაო ადგილების შესაქმნელად სახელმწიფო გამოიყენებს მაღალმთიან დასახლებებზე მორგებულ მხარდამჭერ პროგრამას, რომელშიც გათვალისწინებული იქნება მაღალმთიანი დასახლებების სამიზნე ტერიტორიების და ბენეფიციართა ასაკობრივი პრიორიტეტიზაცია. მხარდამჭერ პროგრამაში მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნეს პროექტების შესარჩევად გათვალისწინებული იქნება უპირატესობის მინიჭება ახალგაზრდებისთვის და ისეთი მოწყვლადი მაღალმთიანი მუნიციპალიტეტებისთვის/თემებისთვის, რომელშიც მოსახლეობის კლება და შობადობის დაბალი კოეფიციენტია, 1 000 მოსახლეზე ბიზნეს სუბიექტების მცირე რაოდენობაა, აგრეთვე, მცირეა დასაქმებულთა რაოდენობა და სასტუმროებისა და ვიზიტორების ნაკლებობაა. ამასთან, მცირერიცხოვან, დაცლის პირას მყოფ მაღალმთიან დასახლებაში ბენეფიციარებს შეეძლებათ განახორციელონ არა მხოლოდ მკაცრად კომერციული ბიზნეს-საქმიანობა, არამედ კომერციულთან ერთად სოციალური მნიშვნელობის, ინოვაციური ინიციატივებიც. საბაზისო კომერციული სერვისების შექმნის მხარდაჭერა მნიშვნელოვანია, რათა ასეთი სერვისების დეფიციტი არ იყოს ხელის შემშლელი ფაქტორი მაღალმთიან დასახლებებში ცხოვრებისათვის. შესაბამისად, მეწარმეობის ხელშეწყობის მხარდამჭერი პროგრამების ფარგლებში მხარდაჭერილი იქნება აგრეთვე, კომერციულად მომგებიანი საბაზისო სერვისების (მაგ. აფთიაქი, ავტომობილის ტექმომსახურება, სალონი, სტომატოლოგიური კაბინეტი დ ა.შ.) შექმნა-გაფართოება, რომელიც შეიქმნება სამიზნე მუნიციპალიტეტების მაღალმთიან დასახლებებში.

მთაში სოციალური ინოვაციები სასარგებლოა არა მხოლოდ ეკონომიკის, არამედ თემის გაძლიერებისთვის.[20] ასეთი პროექტები მორგებული იქნება თანამედროვე ცხოვრების სტილთან, გაითვალისწინებს რა მთასა და ბარს შორის ცხოვრებისა და საქმიანობის შერეული ფორმების არსებობას და გამოიყენებს ასეთ რთულ პირობებში ბენეფიციარების ცხოვრებისა და მუშაობისათვის ინდივიდუალური საჭიროებების დააკმაყოფილებისადმი უფრო ჰოლისტიკურ მიდგომას. ასეთ ადგილებში გარკვეული უპირატესობა მიენიჭება ისეთ პროექტებს, რომელთა ბენეფიციარი მაღალმთიან დასახლებაში 9 ან 6 (2 000 მეტრზე და მის

[20] https://www.mrd-journal.org/?mrd-talks=how-can-social-innovations-contribute-to-local-mountain-economies-learnings-from-science-and-practice#:~:text=Social%20innovations%20develop%20and%20nurture,to%20cultural%20and%20natural%20heritage

ზემოთ მდებარე დასახლებებში) თვის პერიოდით აპირებს ცხოვრებას და მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსს მოიპოვებს.

დაფინანსებული პროექტების მიერ მხარდაჭერილი ინიციატივები და დასაქმებული ახალგაზრდები მასტიმულირებელ როლს შეასრულებენ ამ დასახლებებსა და მუნიციპალიტეტებში სხვა ახალგაზრდების მისაზიდად, გაზრდის ინტერესს იქ ცხოვრებისა და ეკონომიკური საქმიანობისთვის.

ამოცანა 1.2. გადამამუშავებელი სექტორის, მთის ნიშური პროდუქციის წარმოების და ტურიზმის მხარდაჭერა

მთაში მკაცრი კლიმატურ-ლანდშაფტური პირობების გამო, საჭიროა გამოყენებულ იქნას განსხვავებული მიდგომები, რათა მაღალმთიანი დასახლებების მაცხოვრებლებს მიეცეთ სტიმული მაღალმთიანი დასახლებების უნიკალური ეკონომიკური პოტენციალისა და შედარებითი უპირატესობების მაქსიმალურად ათვისებისთვის არა მხოლოდ ტურიზმის, არამედ გადამამუშავებელი წარმოებისა და ნიშური პროდუქციის შექმნის კუთხითაც.

მაღალმთიან დასახლებებში სამეწარმეო საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით სახელმწიფო დაეხმარება სოფლის მეურნეობის გადამამუშავებელი პროდუქციის, განსაკუთრებით მთის ტრადიციული ნიშური პროდუქციის წარმოებას თუ არსებული წარმოების გაფართოებას. მთის ნიშური პროდუქციის წარმოების მხარდაჭერა მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ბაზარზე ასეთ პროდუქციაზე არსებული მაღალი მოთხოვნის გამო, არამედ ადგილობრივებისათვის საამაყო პროდუქტების მხარდაჭერის გზით მთაში ცხოვრებისა და მუშაობის მიმზიდველობისთვის.

სხვა ქვეყნების გამოცდილებით, მაღალმთიანი დასახლებების შინამეურნეობები, მათ შორის როგორც წვრილი, ისე მსხვილი ფერმერული მეურნეობები, სახელმწიფოსაგან მიიღებენ სხვადასხვა სახის სუბსიდიებს, ისარგებლებენ საკრედიტო-საშეღავათო სესხებით ისეთი სოფლის მეურნეობისა და ეკონომიკური პროექტებისათვის, რომლებიც მთის თემების ეკონომიკურ განვითარებაზე იქნება ორიენტირებული. მაღალმთიან დასახლებებში სამეწარმეო საქმიანობის ხელშეწყობის პროგრამებში უპირატესობა მიენიჭება მაღალმთიანი დასახლებებისთვის დამახასიათებელი ისეთი ნიშური პროდუქციის წარმოების და მომსახურების ეკონომიკურ საქმიანობებს, როგორიცაა, მაგალითად: სვანური კარტოფილის, დამბალი ხაჭოს, რაჭული ლორის და სხვა სახის პროდუქციის წარმოება; ტურიზმის მიმართულება, მათ შორის აგროტურიზმი, დასასვენებელ, სპორტულ-გასართობ და სარესტორნო მომსახურება (განსაკუთრებით, ტურისტულად ნაკლებად აქტიურ დასახლებებში); რძის გადამუშავება და ყველის წარმოება; მესაქონლება და ხორცის წარმოება; მევენახეობა-მეღვინეობა ენდემური ჯიშების წარმოების კუთხით; თაფლის წარმოება/მეფუტკრეობა; სურსათის გადამამუშავებელი მრეწველობა; ბიომეურნეობა; ხილის გადამუშავება; მინერალური წყლების წარმოება; ხის მერქნის დამუშავება; ხის ავეჯის წარმოება; თევზის მრეწველობა; ადგილობრივი ბუნებრივი ქვებით, ტრადიციული სტილით

სამშენებლო-სარემონტო სამუშაოები, თიხა-კერამიკის წარმოება; ტრადიციული ხელსაქმე და ხელნაკეთი ნივთების შექმნა-რეალიზაცია; მზის პანელების წარმოება და მწვანე ეკონომიკა; მატყლის და მატყლის ნაწარმის წარმოება, და სხვა. უპირატესობა მიენიჭება ინოვაციურ პროექტებს. ამასთანავე, მარკეტინგის და მიწოდების ჯაჭვის ეფექტურ გამოყენებაზე ორიენტირებული პროექტები სარგებლის მომტანი იქნება მთის მცირე ფერმერებისთვის იმ პირობებში, როცა ქალაქებში მაღალია მოთხოვნა სოფლის ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციაზე, მთაში კი გამოწვევაა პროდუქციის მაღალ ფასად რეალიზაცია.

სახელმწიფოს მხარდაჭერა მოიცავს არა მხოლოდ სასოფლო-სამეურნეო, არამედ არასასოფლო-სამეურნეო პირველადი გადამუშავების წარმოებების შექმნას, ადგილობრივი, უნიკალური, ბუნებრივი პროდუქციის ბრენდირებას, მათ შორის ეტიკეტირებას. საქართველო შემოიღებს სპეციალურ ეტიკეტირებას, რომელიც აპრობირებულია საფრანგეთის და იტალიის მთის კანონებით და რომლითაც წახალისებულია ადგილობრივი პროდუქციის წარმოება მათი ხარისხისა და წარმოების პოპულარობის გაზრდის მიზნით[21].

მთაში მესაქონლეობას ხელი შეეწყობა საძოვრებით. „ალპური საძოვრების სუბსიდირების სქემამ“ აჩვენა, რომ შვეიცარიასა და ავსტრიაში, საძოვრების ეკონომიკური გამოყენება წარმატებული ინსტრუმენტია მთის საძოვრებზე მეცხოველეობის ტრადიციის შესანარჩუნებლად[22].

სახელმწიფო განსაკუთრებულ აქცენტს გააკეთებს ახალგაზრდა ფერმერებისა და მეწარმეების ფინანსურ მხარდაჭერაზე. ადგილობრივი მოსახლეობის ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით საგრანტო პროგრამებში ტურისტულ ბიზნეს-გეგმებს მიენიჭება გაზრდილი ქულები ისეთ მუნიციპალიტეტებსა და ადმინისტრაციულ ერთეულებში, რომლებშიც სიტუაციის ანალიზის დროს დაფიქსირდა სასტუმროებისა და ვიზიტორთა რაოდენობის ნაკლებობა, აგრეთვე, უპირატესობა მიენიჭება სხვა მუნიციპალიტეტების და ისტორიულ-გეოგრაფიული მხარეების ტურისტულად ნაკლებად ათვისებულ დასახლებებსაც.

სექტორული პრიორიტეტი - ინფრასტრუქტურა

მიზანი 2. მაღალმთიან დასახლებებში ეკონომიკის სტიმულირებაზე და ცხოვრების ხარისხის ამაღლებაზე ორიენტირებული საჯარო ინფრასტრუქტურის განვითარება

მაღალმთიან დასახლებებში ცხოვრების ხარისხის ამაღლება გულისხმობს არამაღალმთიან დასახლებებში მცხოვრები მოსახლეობისთვის შექმნილი პირობების მაქსიმალურად იდენტური პირობების შექმნას. უპირველეს ყოვლისა, ეს მოიცავს, საბაზისო

[21] https://www.fao.org/3/y3549e/y3549e14.htm
[22] https://www.sciencedirect.com/science/article/abs/pii/S0264837714001719

ინფრასტრუქტურის შექმნას და გაუმჯობესებას. შესაბამისი ინფრასტრუქტურა, განსაკუთრებით საგზაო ინფრასტრუქტურა, აგრეთვე, საკომუნიკაციო და კომუნალური ინფრასტრუქტურა, როგორიცაა მობილური სატელეფონო კავშირგაბმულობა, ინტერნეტის ხელმისაწვდომობა, ელექტროენერგიის წყაროს არსებობა, სტაბილური სასმელი წყლის და ბუნებრივი აირის მიწოდება, ქმნის არამაღალმთიან დასახლებებთან შედარებით იმ მინიმალურ პირობებს, რომელიც აუცილებელია, როგორც მოსახლეობის ადგილზე დამაგრების, ისე ბიზნეს სუბიექტების დაბალი ხარჯით და ეფექტიანად ოპერირებისთვის. რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის და მთის ფონდის ფარგლებში მაღალმთიან დასახლებებში წარდგენილი პროექტების შემთხვევაში კრიტერიუმებს შორის საჭიროა პროექტის უფრო მკაფიო კავშირი დაგეგმვის დოკუმენტებთან. პროექტების დაფინანსებისას გასათვალისწინებელია სტრატეგიის სიტუაციის ანალიზში დაფიქსირებული იმ საჭიროებებისა და შესაძლებლობების გამოყენების საპასუხოდ, მოთხოვნილი საგზაო თუ სხვა სახის ინფრასტრუქტურის მოწყობა, რაც მუნიციპალიტეტს/რეგიონს სარგებელს მოუტანს მაღალმთიან დასახლებებში, თუნდაც მცირემოსახლიან დასახლებებში, მოსახლეობის დაბრუნების, ეკონომიკის, ტურიზმის განვითარების, ადგილობრივი ბუნებრივი პოტენციალის ათვისების კუთხით.

ამოცანა 2.1. მაღალმთიან დასახლებებში საბაზისო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება

მაღალმთიან დასახლებებში საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგება სტრატეგიის ერთ-ერთ მთავარ კომპონენტად დარჩება. როგორც კვლევები აჩვენებს, გზის რეაბილიტაციას აქვს დადებითი საშუალოვადიანი ამოცანის შედეგები და შესაძლოა, ჰქონდეს გრძელვადიანი გავლენები, რომლებიც დაკავშირებულია ტრანსპორტთან (სატრანსპორტო საშუალებების გადაადგილება, მოძრაობის სიჩქარეები, მგზავრობის ხანგრძლივობა და საზოგადოებრივი ტრანსპორტის არსებობა), ინვესტიციებთან (მიწათსარგებლობა და დასაქმება, წარმოებაში ინვესტიცია), საბაზრო ფასებთან (ძირითადი მოხმარების პროდუქციის ფასები ადგილობრივ ბაზარზე), შინამეურნეობების კეთილდღეობასთან (შემოსავალი, მოხმარება, საკუთრებაში არსებული ქონება) და ჯანმრთელობასა და განათლებაზე ხელმისაწვდომობასთან (ჯანდაცვის და განათლების სერვისების გამოყენება).

„ათასწლეულის გამოწვევის ფონდის“ და საქართველოს მთავრობის მიერ დაფინანსებული სამცხე-ჯავახეთის გზის რეაბილიტაციის პროექტის 2013 წელს ჩატარებულმა გავლენის შეფასებამ[23] აჩვენა ძლიერი მტკიცებულება იმისა, რომ აღნიშნული გზის რეაბილიტაციამ ამ გზებით მოსარგებლე ავტომობილების რაოდენობა და მათი მობილობა გაზარდა, აგრეთვე, გამოვლინდა ისეთი ეკონომიკური მაჩვენებლების გაუმჯობესება გზის ახლოს მდებარე

[23] Measuring Results of the Georgia Samtskhe-Javakheti Road Rehabilitation Activity, (Millennium Challenge Corporation 2016); Final Report, Samtskhe-Javakheti Roads Activity Impact Evaluation, NORC, 2013 კვლევაში გამოყენებული იყო „განსხვავება განსხვავებებში“ და „მისადაგებული შედარების“ კვლევის დიზაინი კონტრფაქტორული ანალიზისთვის.

მაღალმთიან დასახლებებში, როგორიცაა გაზრდილი სამეწარმეო აქტივობა და დასაქმება. კერძოდ, ავტომობილების რაოდენობა ინტერვენციის გზებზე საშუალოდ დღეში 44.2 ერთეულით გაიზარდა (4.2%), შესადარებელ გზებთან მიმართებით, გზებზე საშუალო სიჩქარე 13.6 კმ/სთ-ით გაიზარდა (24.4%), შესადარებელ გზებთან შედარებით. მყარი მტკიცებულება არსებობს, რომ სამცხე-ჯავახეთის გზის რეაბილიტაციამ 13.4%-ით გაზარდა საწარმოების რაოდენობა (მაგ. საკონსერვო წარმოება, ქარხნები, სასოფლო-სამეურნეო გადამამუშავებელი და მსგავსი საწარმოები) პროექტის გზების ახლოს მდებარე დასახლებებში. გარკვეული სახის მტკიცებულება არსებობს, რომ შინამეურნეობებში დასაქმების მაჩვენებელი დაახლოებით 3.75%-ით გაიზარდა პროექტის ტერიტორიებზე. ადგილობრივ ფასებზე გავლენა უფრო კომპლექსური იყო (ზოგი პროდუქტის გაიზარდა, ზოგიც შემცირდა). ამასთან, შემოსავლის, მოხმარების, ქონების საკუთრებაში ფლობის ან ჯანდაცვის და საგანმანათლებლო სერვისების გამოყენების მხრივ ცვლილება არ გამოვლენილა, რადგან საგზაო რეაბილიტაციის გავლენა შინამეურნეობის კეთილდღეობის დონეზე დგება შედარებით გრძელვადიან (5 წლის შემდეგ) პერსპექტივაში.

საგზაო-სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარების დადებითი გავლენა დადასტურებულია ევროპულ ქვეყნებშიც. ამის წარმატებული მაგალითია შვეიცარიისა და იტალიის ალპებში გაყვანილი მაგისტრალი, რასაც მოჰყვა ხელშესახები ეკონომიკური და სოციალური სარგებელი, ტურისტული ცენტრების დაკავშირება, გაზრდილი შემოსავლები და ათასობით ახალი სამუშაო ადგილი[24]. შვეიცარიაში სახელმწიფო ინვესტიციებით მაღალმთიანი და არამაღალმთიანი დასახლებების ინფრასტრუქტურებს შორის სხვაობა მინიმუმამდე შემცირდა.[25]

საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგებასთან ერთად, მოსახლეობის და აგრეთვე, ვიზიტორების მხარდაჭერის მიზნით, გაუმჯობესდება მობილობა მაღალმთიან დასახლებებსა და ადმინისტრაციულ ცენტრებს შორის საზოგადოებრივი ტრანსპორტით უზრუნველყოფის გზით, რათა მაღალმთიანი დასახლებების მაცხოვრებლებმა, განსაკუთრებით იმ ჯგუფებმა, ვისთვისაც ხელმისაწვდომი არ არის კერძო ავტომობილი, მაგრამ სერვისების მისაღებად, სავაჭროდ და სამუშაოდ რეგულარულად დადიან საკმაოდ მოშორებით, ადმინისტრაციულ ცენტრში, გაზარდონ მობილობა რეგულარული საზოგადოებრივი ტრანსპორტის მომსახურებით.

მაღალმთიან დასახლებებში, სადაც დაბალია ადმინისტრაციულ ცენტრებთან დაკავშირებადობა, საჯარო სერვისებზე ხელმისაწვდომობის დონის გაზრდისათვის მნიშვნელოვანია ისეთი ობიექტების მშენებლობა, რომელიც მოსახლეობას საჯარო სერვისების მიწოდებას სთავაზობს ერთ სივრცეში, დასახლებიდან გაუსვლელად ან მასთან ახლოს.

ელექტროენერგიით უზრუნველყოფის მიმართულებით, სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამის ფარგლებში, დაეხმარება იმ დასახლებების მოსახლეობას ელექტროენერგიით

[24] https://www.gihub.org/quality-infrastructure-database/case-studies/new-transalpine-rail-link-neat/
[25] https://www.fao.org/faolex/results/details/en/c/LEX-FAOC113269/

უზრუნველყოფაში, სადაც ელექტროენერგიის სისტემური მიწოდება დღემდე არ ხორციელდება და სადაც შესაბამისი საჭიროება გამოვლინდება კვლევის საფუძველზე. 2019 წელს ჩატარებული ანალოგიური კვლევის შემდეგ, ადგილზე კვლავაც შესწავლილ იქნება სიტუაციის ანალიზის დროს იდენტიფიცირებული ყველა დასახლების და ადმინისტრაციული ერთეულის მდგომარეობა განაშენიანების დინამიკის, მოსახლეობის ადგილზე ხანგრძლივი ცხოვრების ფაქტების შესაძლო გახშირების, ინფრასტრუქტურის მდგომარეობის და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით. შესწავლილ იქნება საკითხის გადაწყვეტის სხვადასხვა ტექნიკური გზა, რის შემდეგაც ტექნიკურ-ეკონომიკური მიზანშეწონილობის შესაბამისად, განისაზღვრება ელექტროენერგიის ცენტრალური გამანაწილებელი ქსელის თუ ადგილობრივი მოსახლეობისთვის ხელმისაწვდომი გახდესა ელექტროენერგიის მიწოდება მოხდეს ალტერნატიული წყაროებით როგორიცაა მაგალითად მზის სისტემები.

მაღალმთიანი დასახლებების გაზიფიკაციის მიმართულებით სახელმწიფო გააგრძელებს სამუშაოებს მთავრობის მიერ დამტკიცებული 3-წლიანი სამოქმედო გეგმის შესაბამისად. აღნიშნულ გეგმას ეტაპობრივად დაემატება უფრო მეტი მაღალმთიანი დასახლება. პრიორიტეტი მიენიჭება იმ დასახლებებს, რომლებშიც მოსახლეობის შედარებით მეტი რაოდენობაა. 2024-2026 წლებში ჯამურად დასრულდება 150 მაღალმთიანი დასახლების გაზიფიცირების სამუშაოები, რის შემდგომაც 15 895 აბონენტს მიეცება ბუნებრივი გაზის ქსელში ჩართვის შესაძლებლობა. აღნიშნული ცვლილებების ფარგლებში, გაზიფიცირება გათვალისწინებულია, რაჭის, სამცხე-ჯავახეთის, ქვემო ქართლის, აჭარის, მცხეთა მთიანეთის, კახეთის, იმერეთისა და გურიის მაღალმთიანი სოფლებისთვის.

რეგიონებში განსახორციელებელი პროექტებისა და მთის ფონდის ფარგლებში გაგრძელდება მაღალმთიან დასახლებებში წყლის სტაბილური მიწოდებისთვის შესაბამისი სამუშაოების დაფინანსება. მსგავსი სამუშაოების მაღალი ხარჯის გათვალისწინებით, წყალმომარაგების გაუმჯობესების პროექტები განხორციელდება იმ მაღალმთიან დასახლებებში, სადაც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია მოსახლეობისა და ტურისტებისათვის წყლის მიწოდების შესაბამისი დონის შენარჩუნებისთვის. "ხედვა 2030 საქართველოს განვითარების სტრატეგიის" მიხედვით, მომდევნო წლებში დაგეგმილი წყალმომარაგებისა და წყალარინების ინფრასტრუქტურის მოწესრიგება, მოსახლეობის ცხოვრების პირობების გაუმჯობესებასთან ერთად, ხელს შეუწყობს რეგიონებში სოფლის მეურნეობისა და ტურიზმის განვითარებას, რაც დადებითად აისახება ადგილობრივ მაცხოვრებლებზე. წყალმომარაგების მიმართულებით განსახორციელებელი პროექტების შედეგად, 2025 წელს საქართველოს ქალაქების მოსახლეობის 100%-ს ექნება უწყვეტი ხელმისაწვდომობა სტანდარტების შესაბამის წყალმომარაგებაზე, ხოლო 2030 წლისთვის, სხვადასხვა ტიპის გადაწყვეტებით, მთელი ქვეყნის მოსახლეობის 100%-ს ექნება წვდომა სტანდარტების შესაბამის წყალზე. აგრეთვე, დაგეგმილია გარემოზე მავნე ზემოქმედების შემცირება, რისთვისაც განხორციელდება წყალარინების ქსელისა და ჩამდინარე წყლების გამწმენდი საშუალებების მოწყობა, რაც შეამცირებს ჩამდინარე წყლებით გარემოს დაბინძურებას. მაღალმთიანი დასახლებებიც ამ ერთიან ხედვაში მოიაზრება.

მობილური კავშირგაბმულობისა და ინტერნეტის ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების მიმართულებით პრიორიტეტი მიენიჭება ისეთი მაღალმთიანი დასახლებების დაფარვას, სადაც დღემდე მობილური კავშირგაბმულობის მხრივ გამოწვევებია. აგრეთვე, სახელმწიფო სხვადასხვა მიზნობრივი პროექტის მხარდაჭერით და სახელმწიფო ინტერნეტიზაციის პროგრამის საშუალებით („საქართველოში ფართოზოლოვანი ინფრასტრუქტურის განვითარების სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 ივლისის N375 დადგენილების შესაბამისად) გააგრძელებს ფართოზოლოვანი ინტერნეტის საყოველთაო ხელმისაწვდომობის გაზრდისკენ მიმართულ ძალისხმევას. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისეთი დასახლებები, რომლებშიც მაღალია ტურისტული ნაკადები და ტურიზმის შემდგომი განვითარების პოტენციალი, რასაც საფრთხეს უქმნის სტაბილური ინტერნეტის არქონა. სახელმწიფო აგრეთვე განიხილავს ინტერნეტზე ხელმისაწვდომობის ალტერნატიული საშუალებების დანერგვას რთულად მისაწვდომი და ინტერნეტ ინფრასტრუქტურისთვის რთული ლანდშაფტის მქონე დასახლებებისთვის.

ამოცანა 2.2. მაღალმთიანი დასახლებების, განსაკუთრებით ისტორიული მხარეების უნიკალური ტურისტული პოტენციალის განვითარების ხელშეწყობა

ყველა რეგიონში, ტურისტულად ნაკლებად განვითარებულ მაღალმთიანი დასახლებების მუნიციპალიტეტებსა ან/და ადმინისტრაციულ ერთეულებში, განხორციელდება ინფრასტრუქტურის ინტეგრირებული განვითარების ღონისძიებები, ადგილობრივი ღირშესანიშნაობების, კულტურული თუ ბუნებრივი ძეგლების გარშემო ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობის გზით, რაც ხელს შეუწყობს ტურისტულ და ეკონომიკურ საქმიანობას და ადგილობრივებისთვის შემოსავლების გენერირებას. ასეთ დასახლებებში, გათვალისწინებული იქნება საგზაო ინფრასტრუქტურასთან, ელექტროენერგიასთან, ინტერნეტთან და წყალმომარაგებასთან დაკავშირებულ გამოწვევებზე ეტაპობრივი რეაგირებაც, რაც სხვა ამოცანების ფარგლებში იქნება შესრულებული.

საქართველოს რეგიონებში მდებარე კურორტების არსებული მდგომარეობისა და განვითარების პოტენციალის შეფასების მიზნით, იგეგმება როგორც არსებული კურორტების, ასევე ახალი საკურორტო ადგილების განვითარების შესაძლებლობების კვლევები, საინვესტიციო შეთავაზებების მომზადება და საკურორტო ინდუსტრიის განვითარებასთან დაკავშირებული პროექტების ინიცირება.

ამასთან, შესაბამისი ტერიტორიული წინაპირობების შექმნით და მდგრადი განვითარების პრინციპებზე დაყრდნობით ეკონომიკური საქმიანობის წახალისების მიზნით, მაღალმთიანი დასახლებებისთვის შემუშავდება სივრცის დაგეგმარების ან/და ქალაქთმშენებლობითი გეგმები.

ამოცანა 2.3. მაღალმთიან დასახლებებში ბუნებრივი რესურსების მდგრადი მართვის და გარემოსდაცვითი ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ხელშეწყობა

მაღალმთიან დასახლებებში გარემოს და ბუნებრივი რესურსების არაეფექტიანი გამოყენება ერთ-ერთ გამოწვევას წარმოადგენს. გარემოზე უარყოფით ზეგავლენას ახდენს როგორც ბუნებრივი კლიმატური, აგრეთვე ხელოვნული ჩარევები. მაღალმთიან დასახლებებში ბუნებრივი რესურსების მდგრადი მართვის და გარემოს დაცვის ხელშესაწყობად დაიგეგმება გარემოსდაცვითი ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების სამუშაოები, ტყის რესურსების რაციონალური გამოყენებისა და ცნობიერების ამაღლების ღონისძიებები, დაცული ტერიტორიების გარემოსდაცვითი ღონისძიებები და სხვა. მნიშვნელოვანია, რომ მაღალმთიან დასახლებებში ეფექტურად განხორციელდეს მოსახლეობის დაცვა ჰიდრომეტეოროლოგიური საფრთხეებისაგან. ამ მხრივ აგრეთვე, მნიშვნელოვანია მთის ბიომრავალფეროვნების და ეკოსისტემის დაცვა ბუნებრივი კატასტროფებით გამოწვეული რისკების (მეწყერები, ღვარცოფები) მიმართ. გარემოსდაცვითი ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების კუთხით განხორციელდება ბუნებრივი კატასტროფების რისკის მქონე კრიტიკული დასახლებების მხარდაჭერა, როგორც შესაბამისი ინფრასტრუქტურის (ნაპირდაცვითი, ნაპირსამაგრი სამუშაოები და სხვა) მოწყობის, აგრეთვე მოსახლეობის ცნობიერების და რისკებისადმი მზადყოფნისთვის მომზადების ღონისძიებები.

სექტორული პრიორიტეტი - სერვისები

მიზანი 3. მაღალმთიანი დასახლებების მცხოვრებლებისთვის სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება

იმის გათვალისწინებით, რომ არამაღალმთიან მჭიდროდ დასახლებულ ურბანულ არეალებში, მოსახლეობის დიდი რაოდენობის გამო, მაღალმთიან დასახლებებთან შედარებით, ბევრად უკეთ დაფინანსებულია და უფრო ხელმისაწვდომი და მრავალფეროვანია სხვადასხვა სოციალური, საგანმანათლებლო, ადმინისტრაციული და კომერციული სერვისები, მნიშვნელოვანია, რომ შესაბამისი ღონისძიებები განხორციელდეს აღნიშნული უთანაბრობების შემსუბუქებისთვისაც. ხარისხიანი სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება მოიცავს არამხოლოდ სკოლების, სამედიცინო დაწესებულებების, კულტურული ცენტრების, სპორტული და სხვა ობიექტების მშენებლობა-რეაბილიტაციას, არამედ შესაბამისი სერვისების ხარისხის ამაღლებას, რათა მოსახლეობას, მათ შორის ახალგაზრდობას, შეეძლოს ადგილზე ისარგებლოს ხარისხიანი კულტურის, განათლების, ჯანდაცვის და გართობის შესაძლებლობებით.

ამოცანა 3.1. მაღალმთიან დასახლებებში განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდა, პროფესიული და არაფორმალური განათლების განვითარება

ადგილობრივ ახალგაზრდებს და სამუშაო ასაკის მოსახლეობას უნდა შეეძლოთ, რომ მათ ან მათმა შვილებმა, სახლთან ახლოს მიიღონ ხარისხიანი სკოლამდელი, ზოგადი და პროფესიული განათლება, რომელიც აუცილებელია როგორც თითოეული მათგანის პროფესიული განვითარებისათვის, ასევე, ზოგადად, ადგილობრივი ეკონომიკის გაძლიერებისათვის. სტრატეგიის ფარგლებში პრიორიტეტული იქნება მაღალმთიან დასახლებებში მცხოვრები ახალგაზრდებისთვის, მათ საჭიროებებზე მორგებული, მოქნილი, ხარისხიანი განათლების შეთავაზება, რათა მათ არ უწევდეთ, ამ მიზნით ხანგრძლივი ვადით საკუთარი დასახლებების/რეგიონების დატოვება.

სტრატეგიით, ერთის მხრივ, გათვალისწინებულია „მთის ფონდის“ ფარგლებში სპორტული, კულტურული და გასართობი ობიექტების მშენებლობა-რეაბილიტაცია მაღალმთიან დასახლებებში, ხოლო მეორეს მხრივ, მეწარმეობის ხელშემწყობი მიზნობრივი პროგრამის ფარგლებში. სახელმწიფო მხარს დაუჭერს ახალგაზრდული სივრცეების და გასართობ-შემეცნებითი სივრცეების შექმნას კერძო სექტორის მიერ, ამასთანავე, ხელს შეუწყობს სხვადასხვა უნარის ამაღლებისკენ მიმართული ტრენინგებისა და არაფორმალური განათლების ცენტრების დაარსებას და სწავლების შეთავაზებას.

ახალგაზრდებს, აგრეთვე ზრდასრულებს, უნდა ჰქონდეთ წვდომა პროფესიულ განათლებაზე მათ შორის, პროფესიული მომზადებისა და გადამზადების პროგრამებზე, გრძელვადიან პერსპექტივაში სახელმწიფო გააფართოებს პროფესიული სასწავლებლების ქსელს მაღალმთიან დასახლებებში, ისევე როგორც დაამატებს ბაზარზე მოთხოვნადი ახალი უნარების მიმცემ პროფესიულ პროგრამებს და დანერგავს დისტანციური სწავლების შესაძლებლობებს. პრიორიტეტული იქნება საგანმანათლებლო პროგრამებში ინვესტირება ადგილობრივი მუშახელის უნარების ამაღლების, მათ შორის მწვანე და მთის ეკონომიკის, მცირე და საშუალო მეწარმეობის ხელშესაწყობად. მნიშვნელოვანია ადგილობრივი წარმოების განვითარება და ახალი სამუშაო ადგილების შექმნა ისეთი ღონისძიებების გზით, როგორიცაა სოფლისა და ფერმერული მეურნეობების თანამედროვე მენეჯმენტის და ტექნოლოგიების დანერგვა, გაციფრულება, ცოდნის ამაღლება კონსულტაციებისა და ტრენინგების გზით მენეჯერულ, მარკეტინგულ და მეწარმეობის უნარებში, აგრეთვე, ახალგაზრდებისთვის სასკოლო, საუნივერსიტეტო და პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში გარემოსდაცვითი, ეკონომიკური და სოციალური ასპექტების ინტეგრირება.

ამოცანა 3.2. პირველადი ჯანდაცვის განვითარება და სოციალურ სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება

მაღალმთიან დასახლებებში გაგრძელდება სამედიცინო მომსახურების მიღებასთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის განახლება/მშენებლობა და შესაბამისი სამედიცინო სერვისების მიწოდების ხარისხის გაუმჯობესება, მათ შორის კვალიფიციური სამედიცინო პერსონალის დასაქმების ხელშემწყობი ღონისძიებები. ამასთანავე, მაღალმთიან დასახლებებში მცხოვრები მოსახლეობის მხარდასაჭერად გაგრძელდება "მაღალმთიანი

რეგიონების განვითარების კანონით" დადგენილი სოციალური მხარდაჭერის უზრუნველყოფა.

ამოცანა 3.3. ტერიტორიული მარკეტინგის გზით მთაში ცხოვრებისა და მუშაობის პოპულარიზაცია

ევროპული ქვეყნების გამოცდილების და საქართველოში COVID-19-ის პანდემიის დროს სოფლად გადაცხოვრების ცალკეული პოზიტიური შემთხვევების გათვალისწინებით, აქცენტი გაკეთდება მთის ტერიტორიულ მარკეტინგზე - მართალია, მთა იძლევა ხარისხიანი ცხოვრების საშუალებას, სუფთა ჰაერის, ბუნებასთან სიახლოვის, ლამაზი ლანდშაფტის უპირატესობებს, თუმცა ბევრი მოქალაქისთვის ის, ბართან შედარებით, ჯერ კიდევ ასოცირდება სიშორესთან და კულტურულ-სოციალურ იზოლაციასთან. აქედან გამომდინარე, მაღალმთიან დასახლებებში საცხოვრებლად და ეკონომიკური საქმიანობისთვის ადამიანების მისაზიდად აქცენტი გაკეთდება მთის უპირატესობებზე ორიენტირებულ კომუნიკაციაზე.

ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია ხელს შეუწყობს ისეთი მაღალმთიანი დასახლებებისა და ისტორიული მხარეების პოპულარიზაციას, მათი კულტურული და ბუნებრივი ღირშესანიშნაობების წარმოჩენას, რომელშიც დღემდე შედარებით დაბალია ტურისტული აქტივობა და მცირეა ვიზიტორთა რაოდენობა.

სტრატეგიით გათვალისწინებულია აგრეთვე, ასეთ ადგილებში სასტუმროებისა და სასტუმროს ტიპის დაწესებულებების და ტურისტული სერვისების შექმნის/რაოდენობის გაზრდის წახალისება, ადგილობრივების დამოკიდებულების და ცოდნის დონის შეცვლის, საოჯახო სასტუმროების გასაქირავებელ პლატფორმებზე განთავსების, სერვისების გაციფრულებისა და მომსახურების ხარისხის ამაღლების მიზნით ადგილობრივების გადამზადება.

5. განხორციელება და კოორდინაცია

სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის განხორციელების ტექნიკურ კოორდინაციას უზრუნველყოფს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს კოორდინაციით შექმნილი „მაღალმთიანი დასახლებების განვითარების 2024-2030 წლების სტრატეგიისა და მისი სამოქმედო გეგმ(ებ)ის შემუშავებისა და განხორციელების მიზნით შექმნილი საკოორდინაციო საბჭო“, მისი სამდივნოს და მის ფარგლებში არსებული თემატური ტექნიკური სამუშაო ჯგუფების საშუალებით. პოლიტიკურ დონეზე, განხორციელების კოორდინაციის პროცესს გაუძღვება საქართველოს მთავრობის მიერ შექმნილი „მთის განვითარების ეროვნული საბჭო“, საქართველოს პრემიერ-მინისტრის ხელმძღვანელობით.

სტრატეგიისა და მისი ყოველწლიური სამოქმედო გეგმის შესრულებისთვის პასუხისმგებელ უწყებებად განსაზღვრულნი არიან საქართველოს სამინისტროები და სხვა სახელმწიფო უწყებები, ცალკეული აქტივობების შესაბამისად.

„მაღალმთიანი დასახლებების განვითარების 2024-2030 წლების სტრატეგიისა და მისი სამოქმედო გეგმ(ებ)ის შემუშავებისა და განხორციელების მიზნით შექმნილი საკოორდინაციო საბჭო“ შეიკრიბება წელიწადში ორჯერ, ხოლო ტექნიკური სამუშაო ჯგუფები შეიკრიბება კვარტალურად. „მთის განვითარების ეროვნული საბჭო“ შეიკრიბება წელიწადში ერთხელ და განიხილავს მიღწეულ შედეგებს, ასევე განხორციელების პროცესში არსებულ გამოწვევებს და მათი გადაჭრის გზებს. ის ასევე, მთავრობაზე წარსადგენად განიხილავს და მოიწონებს სტრატეგიის მომდევნო წლების სამოქმედო გეგმებს და საჭიროების შემთხვევაში შესაძლო ცვლილებებს.

საკოორდინაციო საბჭოს სამდივნოს კოორდინაციით და ტექნიკური სამუშაო ჯგუფების ჩართულობით, წლიურ ანგარიშებსა და შუალედური შეფასების ანგარიშში დაფიქსირებული პროგრესის და გამოვლენილი გამოწვევების შესაბამისად, მომზადდება მომდევნო წლების სამოქმედო გეგმის პროექტები, აგრეთვე, საჭიროების შემთხვევაში შესაძლო ცვლილებებს სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმაში.

„საქართველოს მაღალმთიანი დასახლებების განვითარების 2024-2030 წლების სტრატეგიის“ და სამოქმედო გეგმების განხორციელებისთვის, ასევე, მნიშვნელოვანია ინტეგრირებული მიდგომის განვითარება, რაც გადაწყვეტილების პროცესებში ფართო საზოგადოების და დაინტერესებული მხარეების ჩართვას (განსაკუთრებით, „ქვემოდან-ზევით“ მიდგომით) უზრუნველყოფს. ამ მიზნით აქტიურად იქნებიან ჩართულნი შესაბამისი კომპეტენციის სახელმწიფო უწყებები და დაინტერესებული მხარეები, რომლებიც „მთის განვითარების ეროვნული საბჭოს“ ფარგლებში არიან წარმოდგენილები. სამდივნო საბჭოს წევრ, მოწვეულ დაინტერესებულ მხარეებთან (მ.შ. საზოგადოებრივი, სამეცნიერო და ბიზნეს სფეროებიდან) და ფართო საზოგადოების წარმომადგენლებთან რეგულარულად გამართავს შეხვედრებს, გააცნობს და მათთან ერთად განიხილავს სტრატეგიის განხორციელების პროგრესს და წლიურ ანგარიშებს, შუალედური და საბოლოო შეფასების ანგარიშებს. აგრეთვე, განიხილავენ განახლებულ სამოქმედო გეგმებს და ექნებათ შესაძლებლობა გამოთქვან შენიშვნები და მოსაზრებები.

ფართო საზოგადოებასთან კომუნიკაციას განახორციელებს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო ციფრული კომუნიკაციისა, დისტანციური და ფიზიკური შეხვედრების საშუალებებით.

სტრატეგიის განხორციელების პროცესში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა ქალთა, ახალგაზრდებისა და სხვა მოწყვლადი ჯგუფების ჩართულობის სტიმულირებას, აგრეთვე მიმართული იქნება თანაბარი შესაძლებლობის ხელშეწყობაზე.

სტრატეგიის ეფექტიანად განხორციელებისათვის მნიშვნელოვანია მაღალმთიან დასახლებებში კონკრეტული ტერიტორიების განვითარებაზე მორგებული ინიციატივების მხარდაჭერა და ევროკავშირის კოჰეზიის პოლიტიკისადმი დამახასიათებელი

ინტეგრირებული განვითარებისა და ტერიტორიული მიდგომის პრინციპების პრაქტიკულად რეალიზება. ამ მიმართულებით, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს კოორდინაციით შექმნილი „მაღალმთიანი დასახლებების განვითარების 2024-2030 წლების სტრატეგიისა და მისი სამოქმედო გეგმ(ებ)ის შემუშავებისა და განხორციელების მიზნით შექმნილი საკოორდინაციო საბჭო“, გაითვალისწინებს საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის (PIRDP) განხორციელების შედეგად მიღებულ გამოცდილებას და პროექტების შერჩევის, განხორციელების და მონიტორინგის მოდელს. აღნიშნული მიდგომა საშუალებას იძლევა მაღალმთიანი დასახლებების დაფინანსება გაერთიანდეს ინტეგრირებული ტერიტორიული განვითარების პრინციპებზე აგებულ რეგიონული პოლიტიკის დაფინანსების მოდელთან და თავსებადი გახდეს ევროკავშირის და სხვა საერთაშორისო დონორების დაფინანსების პრინციპებთან, რაც თავის მხრივ მნიშვნელოვნად გაზრდის საქართველოს რეგიონების და მთის განვითარებისთვის ხელმისაწვდომ სახსრებს.

მაღალმთიანი რეგიონების განვითარების სტრატეგიის მიზნების და ამოცანების დაფინანსება 2024-2030 წლებში, ისევე როგორც წინა წლებში განხორციელდება სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტების დაფინანსებით და სამოქმედო გეგმების ეფექტიანი განხორციელებისათვის, შესაძლებელია დამატებით უზრუნველყოფილი იქნას მათ შორის განვითარების პარტნიორების მხარდაჭერა.

სტრატეგიის მიზნების და ამოცანების დიდი ნაწილი, როგორიცაა მაგალითად, მეწარმეობის, ტურიზმის, მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნესის, სოფლის მეურნეობის, ინფრასტრუქტურის, სერვისების და უნარების განვითარება, წარმოადგენს ეროვნული და სექტორული განვითარების მიზნებსა და ამოცანებს და ყოველწლიურად ფინანსდება შესაბამისი სამინისტროების ბიუჯეტებიდან და განვითარების პარტნიორების პროგრამებიდან.

სტრატეგიის ფარგლებში 2024-2026 წლების სამოქმედო გეგმის საპროგნოზო ბიუჯეტია 3,130,625,392 ლარი. ოპტიმისტური სცენარის შემთხვევაში, ყველა აქტივობა განხორციელდება, რადგან დეფიციტური თანხების მოძიებას საქართველოს მთავრობა უზრუნველყოფს ე.წ. განვითარების პარტნიორების, ევროკავშირის და სხვა დონორი და საერთაშორისო ორგანიზაციების ჩართულობით. რეალისტური სცენარის შემთხვევაში, აქტივობების ნაწილი, რომლისთვისაც თანხები არაა მობილიზებული, დაფინანსდება სახელმწიფოს მიერ დამატებითი საბიუჯეტო რესურსების მოძიების გზით ან გადავა მომდევნო სამოქმედო გეგმებში, ხოლო პესიმისტური სცენარის შემთხვევაში, ეს აქტივობები საერთოდ ვერ განხორციელდება ფინანსური რესურსების არარსებობის გამო.

6. მონიტორინგი და შეფასება

„საქართველოს მაღალმთიანი დასახლებების განვითარების 2024-2030 წლების სტრატეგიის“ და სამოქმედო გეგმების მონიტორინგი და შეფასება განხორციელდება „პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავების, მონიტორინგისა და შეფასების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 20 დეკემბრის N629 დადგენილებით განსაზღვრული ვადების დაცვით და მოდალობების გამოყენებით.

მონიტორინგის პროცესის შედეგად მოხდება პოლიტიკის განხორციელების პროცესში არსებული ხარვეზების დროული გამოვლენა და გადაწყვეტილების მიმღები მხარისთვის რეკომენდაციების მიცემა აქტივობების მოდიფიცირებისა და რესურსების გადანაწილების, დამატებითი სახსრების მოზიდვის ან შემცირების მიმართულებით. მონიტორინგი განხორციელდება ამოცანების და საქმიანობების განსაზღვრული ინდიკატორების მიხედვით. სტრატეგიის შეფასება მოხდება წინამდებარე სტრატეგიაში აღწერილი ინდიკატორების მიხედვით, მათზე სტრატეგიის გავლენის შესაფასებლად.

„მაღალმთიანი დასახლებების განვითარების 2024-2030 წლების სტრატეგიისა და მისი სამოქმედო გეგმ(ებ)ის შემუშავებისა და განხორციელების მიზნით შექმნილი საკოორდინაციო საბჭო“ სამდივნოს მეშვეობით კოორდინაციას გაუწევს ტექნიკური ჯგუფების წევრებისგან (სამოქმედო გეგმის აქტივობებზე პასუხისმგებელი უწყებებიდან) მონიტორინგის მონაცემების შეგროვებას, ანალიზს და დროულ გამოქვეყნებას წინასწარ შეთანხმებული და „პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავების, მონიტორინგისა და შეფასების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 20 დეკემბრის N629 დადგენილების შესაბამისად შემუშავებული მოდალობების მიხედვით. კონსოლიდირებული სტატუს ანგარიშის საფუძველზე სამდივნო მოამზადებს ექვსთვიან პროგრეს ანგარიშებს და წლიურ ანგარიშებს. პროგრეს ანგარიშები მოიცავს მონაცემებს 1-ლი იანვრიდან 30 ივნისის ჩათვლით პერიოდისთვის, ხოლო წლიური ანგარიშები - მიმდინარე საანგარიშო პერიოდის 31 დეკემბრის ჩათვლით. პასუსიხისმგებელი უწყებები საანგარიშო პერიოდში განხორციელებული აქტივობების შესახებ მონაცემებს სტატუს ანგარიშების ფორმით სამდივნოს გაუგზავნიან არაუგვიანეს მიმდინარე წლის 15 ივლისისა პროგრეს ანგარიშის შემთხვევაში და 15 თებერვლისა წლიური ანგარიშის შემთხვევაში. ამ უკანასკნელის მომზადება და გამოქვეყნება სამდივნოს მიერ მოხდება არაუგვიანეს მიმდინარე წლის 28 თებერვლისა, ხოლო პროგრეს ანგარიშის მომზადება - არაუგვიანეს 31 აგვისტოსი. პროგრეს ანგარიშის საჯაროდ გამოქვეყნება არ არის გათვალისწინებული, თუმცა სამდივნო მას გაუზიარებს „მთის ეროვნული საბჭოს“ წევრებს და დაინტერესებულ მხარეებს. მონიტორინგის პროცესის პარალელურად, 2026 წელს ჩატარდება სტრატეგიის შუალედური შეფასება. მიუხედავად იმისა, რომ სტრატეგიის ვადა არ არის 8 წელი ან მეტი (არამედ - 7 წლიანი პერიოდი -2024 წლიდან 2030 წლამდე), მაინც გათვალისწინებულია მისი შუალედური შეფასება. სტრატეგიის ვადის ბოლო წელს, 2030 წელს, სამდივნოს კოორდინაციით განხორციელდება დოკუმენტის საბოლოო შეფასება, შერეული შეფასების ფორმით, რომელშიც ჩართული იქნება როგორც საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, ისე გარე დამოუკიდებელი შემფასებლები/კონსულტანტები.

სტრატეგიის განხორციელების მონიტორინგის და შეფასების შესახებ დაინტერესებული მხარეებისა და ფართო აუდიტორიის ინფორმირების მიზნით „საქართველოს მაღალმთიანი დასახლებების განვითარების 2024-2030 წლების სტრატეგია“ და მისი სამოქმედო გეგმ(ებ)ის პროექტები, მონიტორინგის წლიური ანგარიშები და შუალედური და საბოლოო შეფასების ანგარიშები კომენტარებისთვის გამოქვეყნდება ელექტრონულად, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრსტრუქტურის სამინისტროს ვებ-გვერდზე და სოციალური მედიის გვერდზე.

გარდა ამისა, ვებსაიტის შესაბამის განყოფილებაში ხელმისაწვდომი იქნება სტრატეგიასთან დაკავშირებით პასუხისმგებელი პირის საკონტაქტო ინფორმაცია, რაც საშუალებას მისცემს ფართო საზოგადოების წარმომადგენლებს გამოაგზავნონ კითხვები სტრატეგიის პროგრესთან და შედეგებთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაციის მისაღებად. განახლებული ინფორმაცია ასევე გასაჯაროვდება სოციალურ მედიაში, ოფიციალური ანგარიშების საშუალებით.

სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის მონიტორინგის და შეფასების კალენდარი			
ანგარიშის ტიპი	**ანგარიშების მომზადების თარიღი/პერიოდულობა**	**საანგარიშო პერიოდი**	**გაზიარების/საჯარო გამოქვეყნების ვადა**
მონიტორინგი			
პროგრეს ანგარიში	საანგარიშო პერიოდის დასრულების შემდეგ (ივლისი-აგვისტო)	6 თვიანი პერიოდი (იანვარი-ივნისი)	მოცემული წლის 30 ივლისი
წლიური ანგარიში	საანგარიშო პერიოდის დასრულების შემდეგ (იანვარი-თებერვალი)	1-წლიანი პერიოდი (იანვარი-დეკემბერი)	მოცემული წლის 28 თებერვალი
შეფასება			
შუალედური შეფასება	2027 წელი	3-წლიანი პერიოდი (2024 წლის იანვრიდან 2026 წლის დეკემბრის ჩათვლით)	2027 წლის 30 ივნისი
საბოლოო შეფასება	2031 წელი	7-წლიანი პერიოდი (2024 წლის იანვრიდან 2030 წლის დეკემბრის ჩათვლით)	2031 წლის 30 ივნისი

7. ლოგიკური ჩარჩო

<table>
<tr><th colspan="8">საქართველოს მაღალმთიანი დასახლებების განვითარების 2024-2030 წლების სტრატეგიის 2024-2026 წლების სამოქმედო გეგმა</th></tr>
<tr><td colspan="2">ხედვა</td><td colspan="6">საქართველოს მაღალმთიანი დასახლებების განვითარების 2024-2030 წლების სტრატეგიის გრძელვადიანი ხედვაა, რომ მაღალმთიან დასახლებებებში ცხოვრება და მუშაობა გახდეს უფრო მიმზიდველი, განსაკუთრებით ახალგაზრდებისა და სამუშაო ასაკის მოსახლეობისთვის, ამასთანავე, დროთა განმავლობაში შემცირდეს სოციალურ-ეკონომიკური უთანაბრობები როგორც მაღალმთიანი დასახლების მქონე და მაღალმთიანი დასახლების არ მქონე მუნიციპალიტეტებს შორის, ისე მაღალმთიანი დასახლების მქონე მუნიციპალიტეტებსა და საშუალო ეროვნულ მაჩვენებლებს შორის.</td></tr>
<tr><td colspan="2">სექტორული პრიორიტეტი</td><td colspan="6">მეწარმეობა</td></tr>
<tr><td colspan="2">მიზანი 1</td><td colspan="4">მაღალმთიან დასახლებებში სამუშაო ადგილების შექმნა ადგილობრივი ეკონომიკის დივერსიფიკაციის გზით</td><td>მდგრადი განვითარების მიზნებთან (SDGs) კავშირი:</td><td>1, 8, 9, 10</td></tr>
<tr><td rowspan="3">გავლენის ინდიკატორი 1.1:</td><td rowspan="3">მაღალმთიანი დასახლების მქონე მუნიციპალიტეტებში (21 მუნიციპალიტეტში, რომლებშიც მაღალმთიანი დასახლებების წილი 59% და მეტია) მოქმედი ბიზნეს სუბიექტების რაოდენობის პროცენტული ზრდა 1000 კაცზე გაანგარიშებით</td><td></td><td>საბაზისო</td><td>საშუალოვადიანი სამიზნე</td><td>საბოლოო სამიზნე</td><td colspan="2">დადასტურების წყარო</td></tr>
<tr><td>წელი</td><td>2021</td><td>2026</td><td>2030</td><td colspan="2" rowspan="2">საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური</td></tr>
<tr><td>მაჩვენებელი</td><td>34,30%</td><td>38,3% (ზრდა 4%)</td><td>42,3% (ზრდა 8%)</td></tr>
<tr><td rowspan="3">გავლენის ინდიკატორი 1.2:</td><td rowspan="3">მაღალმთიანი დასახლების მქონე მუნიციპალიტეტებში (21 მუნიციპალიტეტში, რომლებშიც მაღალმთიანი დასახლებების წილი 59% და მეტია)</td><td></td><td>საბაზისო</td><td>საშუალოვადიანი სამიზნე</td><td>საბოლოო სამიზნე</td><td colspan="2">დადასტურების წყარო</td></tr>
<tr><td>წელი</td><td>2022</td><td>2026</td><td>2030</td><td colspan="2" rowspan="2">საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური</td></tr>
<tr><td>მაჩვენებელი</td><td>5,9%</td><td>7,0%</td><td>9,0%</td></tr>
</table>

	გადამამუშავებელი მრეწველობის სექტორში (ეკონომიკური ნომენკლატურის ე.წ. C სექტორი) მოქმედი ბიზნეს სუბიექტების რაოდენობის საშუალო პროცენტული წილის ზრდა						
გავლენის ინდიკატორი 1.3:	მაღალმთიანი დასახლების მქონე მუნიციპალიტეტებში (21 მუნიციპალიტეტში, რომლებშიც მაღალმთიანი დასახლებების წილი 59% და მეტია) ბიზნეს სექტორის ბრუნვა		**საბაზისო**	**საშუალოვადიანი სამიზნე**	**საბოლოო სამიზნე**	**დადასტურების წყარო**	
		წელი	2022	2026	2030	საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური	
		მაჩვენებელი	2624,2	2886.6 (ზრდა 10%)	3017.8 (ზრდა 15%)		
გავლენის ინდიკატორი 1.4:	მაღალმთიანი დასახლების მქონე მუნიციპალიტეტებში (21 მუნიციპალიტეტში, რომლებშიც მაღალმთიანი დასახლებების წილი 59% და მეტია) ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა რაოდენობის პროცენტული ზრდა		**საბაზისო**	**საშუალოვადიანი სამიზნე**	**საბოლოო სამიზნე**	**დადასტურების წყარო**	
		წელი	2022	2026	2030	საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური	
		მაჩვენებელი	27413	29331,9 (ზრდა 7%)	31250,8 (ზრდა 14%)		
ამოცანა 1.1		მაღალმთიან დასახლებებში მიკრო, მცირე და საშუალო მეწარმეობის მხარდაჭერა, განსაკუთრებით ახალგაზრდებს შორის					
ამოცანის შედეგის ინდიკატორი 1.1.1:	მეწარმეობის მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამებში		**საბაზისო**	**საშუალოვადიანი სამიზნე**	**საშუალოვადიანი სამიზნე**	**საბოლოო სამიზნე**	**დადასტურების წყარო**
		წელი	2025	2026	2028	2030	სსიპ „აწარმოე საქართველოში“

	მაღალმთიან დასახლებებში ყოველწლიურად მხარდაჭერილი ბიზნესის წილის პროცენტული ზრდა საერთო რაოდენობაში	**მაჩვენებელი**	შესაბამისი საბაზისო მაჩვენებელი განისაზღვრება 2025 წელს	2%	4%	6%	და ა(ა)იპ „სოფლის განვითარების სააგენტო“-ს ანგარიშ(ებ)ი
ამოცანის შედეგის ინდიკატორი 1.1.2:	მეწარმეობის მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამებში, მაღალმთიან დასახლებებში მხარდაჭერილი ახალგაზრდა ბენეფიციარების რაოდენობის პროცენტული ზრდა		**საბაზისო**	**საშუალოვადიანი სამიზნე**	**საშუალოვადიანი სამიზნე**	**საბოლოო სამიზნე**	**დადასტურების წყარო**
		წელი	2025	2026	2028	2030	სსიპ „აწარმოე საქართველოში“ და ა(ა)იპ „სოფლის განვითარების სააგენტო“-ს ანგარიშ(ებ)ი
		მაჩვენებელი	შესაბამისი საბაზისო მაჩვენებელი განისაზღვრება 2025 წელს	2%	4%	6%	
ამოცანის შედეგის ინდიკატორი 1.1.3:	მაღალმთიანი დასახლების მქონე მუნიციპალიტეტებში რეგისტრირებული მოქმედი მცირე და საშუალო საწარმოების რაოდენობის პროცენტული ზრდა		**საბაზისო**	**საშუალოვადიანი სამიზნე**	**საშუალოვადიანი სამიზნე**	**საბოლოო სამიზნე**	**დადასტურების წყარო**
		წელი	2025	2026	2028	2030	საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური
		მაჩვენებელი	შესაბამისი საბაზისო მაჩვენებელი განისაზღვრება 2025 წელს	3%	6%	9%	
რისკი	ემიგრაციული პროცესები, განსაკუთრებით ახალგაზრდებში; თანამონაწილეობისთვის ფინანსური ხელმისაწვდომობის ნაკლებობა.						
ამოცანა 1.2		გადამამუშავებელი სექტორის, მთის ნიშური პროდუქციის წარმოების და ტურიზმის მხარდაჭერა					
ამოცანის შედეგის ინდიკატორი 1.2.1:	მაღალმთიან დასახლებებში მეწარმეობის ხელშეწყობის		**საბაზისო**	**საშუალოვადიანი სამიზნე**	**საშუალოვადიანი სამიზნე**	**საბოლოო სამიზნე**	**დადასტურების წყარო**
		წელი	2025	2026	2028	2030	სსიპ „აწარმოე საქართველოში“

	სახელმწიფო პროგრამებიდან გადამამუშავებელი მრეწველობის სექტორის დაფინანსების პროცენტული წილი (ეკონომიკური ნომენკლატურის ე.წ. C სექტორი)	**მაჩვენებელი**	შესაბამისი საბაზისო მაჩვენებელი განისაზღვრება 2025 წელს	2%	4%	6%	და ააიპ „სოფლის განვითარების სააგენტო“ ანგარიშები
ამოცანის შედეგის ინდიკატორი 1.2.2:	მაღალმთიანი დასახლების მქონე მუნიციპალიტეტებში რეგისტრირებული სასტუმროებისა და სასტუმროს ტიპის დაწესებულებების რაოდენობის პროცენტული ზრდა		**საბაზისო**	**საშუალოვადიანი სამიზნე**	**საშუალოვადიანი სამიზნე**	**საბოლოო სამიზნე**	**დადასტურების წყარო**
		წელი	2021	2026	2028	2030	საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური
		მაჩვენებელი	1776	2%	4%	6%	
ამოცანის შედეგის ინდიკატორი 1.2.3:	მაღალმთიანი დასახლების მქონე მუნიციპალიტეტებში (21 მუნიციპალიტეტში, რომლებშიც მაღალმთიანი დასახლებების წილი 59% და მეტია) პროდუქციის გამოშვების მაჩვენებელი		**საბაზისო**	**საშუალოვადიანი სამიზნე**	**საშუალოვადიანი სამიზნე**	**საბოლოო სამიზნე**	**დადასტურების წყარო**
		წელი	2022	2026	2028	2030	საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური
		მაჩვენებელი	1891.9 (მილიონი ლარი)	1930 (ზრდა 2%)	1968 (ზრდა 4%)	2005 (ზრდა 6%)	
ამოცანის შედეგის ინდიკატორი 1.2.4:	მაღალმთიანი დასახლების მქონე მუნიციპალიტეტებში (21 მუნიციპალიტეტში, რომლებშიც მაღალმთიანი დასახლებების წილი 59% და მეტია) შუალედური მოხმარება		**საბაზისო**	**საშუალოვადიანი სამიზნე**	**საშუალოვადიანი სამიზნე**	**საბოლოო სამიზნე**	**დადასტურების წყარო**
		წელი	2022	2026	2028	2030	საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური
		მაჩვენებელი	952.7 (მილიონი ლარი)	972 (ზრდა 2%)	991 (ზრდა 4%)	1010 (ზრდა 6%)	

რისკი	ემიგრაციული პროცესები, განსაკუთრებით ახალგაზრდებში; საკუთარი სახსრების და საგრანტო თანხის ნაკლებობა.						
სექტორული პრიორიტეტი		**ინფრასტრუქტურა**					
მიზანი 2		მაღალმთიან დასახლებებში ეკონომიკის სტიმულირებაზე და ცხოვრების ხარისხის ამაღლებაზე ორიენტირებული საჯარო ინფრასტრუქტურის განვითარება				**მდგრადი განვითარების მიზნებთან (SDGs) კავშირი:**	6,7, 9,10, 11
გავლენის ინდიკატორი 2.1:	მაღალმთიანი დასახლების მქონე მუნიციპალიტეტებში (21 მუნიციპალიტეტში, რომლებშიც მაღალმთიანი დასახლებების წილი 59% და მეტია) ერთ სულ მოსახლეზე ბიზნეს სექტორის დამატებული ღირებულება		**საბაზისო**	**საშუალოვადიანი სამიზნე**		**საბოლოო სამიზნე**	**დადასტურების წყარო**
		წელი	2022	2026		2030	საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური
		მაჩვენებელი	2507	2757 (ზრდა 10%)		3008 (ზრდა 20%)	
ამოცანა 2.1		მაღალმთიან დასახლებებში საბაზისო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება					
ამოცანის შედეგის ინდიკატორი 2.1.1	21 მაღალმთიანი დასახლების მქონე მუნიციპალიტეტში (21 მუნიციპალიტეტში, რომლებშიც მაღალმთიანი დასახლებების წილი 59% და მეტია) ახლად რეგისტრირებული ეკონომიკური სუბიექტების რაოდენობა		**საბაზისო**	**საშუალოვადიანი სამიზნე**	**საშუალოვადიანი სამიზნე**	**საბოლოო სამიზნე**	**დადასტურების წყარო**
		წელი	2023	2026	2028	2030	საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური
		მაჩვენებელი	4773	5059 (ზრდა 6%)	5203 (ზრდა 9%)	5346 (ზრდა 12%)	
ამოცანის შედეგის ინდიკატორი 2.1.2	მაღალმთიანი დასახლებების პროცენტული წილი, სადაც განხორციელდა		**საბაზისო**	**საშუალოვადიანი სამიზნე**	**საშუალოვადიანი სამიზნე**	**საბოლოო სამიზნე**	**დადასტურების წყარო**
		წელი	2025	2026	2028	2030	მუნიციპალიტეტების

	ადგილობრივი ინფრასტრუქტურის მოწესრიგების პროექტები	**მაჩვენებელი**	შესაბამისი საბაზისო მაჩვენებელი განისაზღვრება 2025 წელს	2%	4%	6%	მერიიდან მიღებული მონაცემები
რისკი	სატენდერო და გზის რეაბილიტაციის პროცესის დროში შეფერხებები; კლიმატური მოვლენების გამო გზის საფარის გაუარესება.						
ამოცანა 2.2		მაღალმთიანი დასახლებების, განსაკუთრებით ისტორიული მხარეების უნიკალური ტურისტული პოტენციალის განვითარების ხელშეწყობა					
ამოცანის შედეგის ინდიკატორი 2.2.1	მაღალმთიანი დასახლების მქონე მუნიციპალიტეტებში (21 მუნიციპალიტეტში, რომლებშიც მაღალმთიანი დასახლებების წილი 59% და მეტია) ვიზიტორთა რაოდენობის პროცენტული ზრდა		**საბაზისო**	**საშუალოვადიანი სამიზნე**	**საშუალოვადიანი სამიზნე**	**საბოლოო სამიზნე**	**დადასტურების წყარო**
		წელი	2023	2026	2028	2030	საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (შიდა და საერთაშორისო ვიზიტები, ჯამურად) (პროცენტული ზრდა შედარებულია საბაზისო - 2023 წელთან შედარებით)
		მაჩვენებელი	337 641	354523 (ზრდა 5%)	371405 (ზრდა 10%)	388287 (ზრდა 15%)	
რისკი	სატენდერო და ინფრასტრუქტურის მოწყობის პროცესის დროში შეფერხებები; კლიმატური მოვლენების გამო გზის საფარის გაუარესება.						
ამოცანა 2.3		მაღალმთიან დასახლებებში ბუნებრივი რესურსების მდგრადი მართვის და გარემოსდაცვითი ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ხელშეწყობა					
ამოცანის შედეგის ინდიკატორი 2.3.1	მაღალმთიან დასახლებებში კლიმატის ცვლილებებით გამოწვეული უარყოფითი ზეგავლენისგან დაცული მოსახლეობის პროცენტული ზრდა		**საბაზისო**	**საშუალოვადიანი სამიზნე**	**საშუალოვადიანი სამიზნე**	**საბოლოო სამიზნე**	**დადასტურების წყარო**
		წელი	2025	2026	2028	2030	მუნიციპალიტეტების მერიიდან მიღებული ინფორმაცია
		მაჩვენებელი	შესაბამისი საბაზისო მაჩვენებელი განისაზღვრება 2025 წელს	2%	5%	10%	
ამოცანის შედეგის	მაღალმთიანი დასახლებების წილი,		**საბაზისო**	**საშუალოვადიანი სამიზნე**	**საშუალოვადიანი სამიზნე**	**საბოლოო სამიზნე**	**დადასტურების წყარო**

ინდიკატორი 2.3.2	სადაც კლიმატის ცვლილებებისადმი და ბუნებრივი კატაკლიზმებისადმი ცნობიერების ამაღლების კუთხით გადამზადდა მოსახლეობა	**წელი**	2025	2026	2028	2030	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ანგარიში
		მაჩვენებელი	შესაბამისი საბაზისო მაჩვენებელი განისაზღვრება 2025 წელს	2%	5%	10%	
რისკი	სატენდერო და ინფრასტრუქტურის მოწყობის პროცესის დროში შეფერხებები.						
სექტორული პრიორიტეტი		**სერვისები**					
მიზანი 3		მაღალმთიანი დასახლებების მაცხოვრებლებისთვის სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება				**მდგრადი განვითარების მიზნებთან (SDGs) კავშირი:**	3, 4, 11
გავლენის ინდიკატორი 3.1:	მაღალმთიანი დასახლებების მოსახლეობის კმაყოფილების პროცენტული მაჩვენებელი ჯანდაცვის, განათლების და ახალგაზრდული სერვისების მიმართ		**საბაზისო**	**საშუალოვადიანი სამიზნე**		**საბოლოო სამიზნე**	**დადასტურების წყარო**
		წელი	2025	2026		2030	სტრატეგიის შეფასების ფარგლებში ჩატარებული შინამეურნეობების გამოკითხვის ანგარიში
		მაჩვენებელი	შესაბამისი საბაზისო მაჩვენებელი განისაზღვრება 2025 წელს	2%		4%	
ამოცანა 3.1		მაღალმთიანი დასახლების მქონე მუნიციპალიტეტებში განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდა, პროფესიული და არაფორმალური განათლების განვითარება					
ამოცანის შედეგის ინდიკატორი 3.1.1	მაღალმთიანი დასახლებების რაოდენობა, სადაც ხელმისაწვდომია ეკონომიკის განვითარებაზე ორიენტირებული პროფესიული განათლების მიღება		**საბაზისო**	**საშუალოვადიანი სამიზნე**	**საშუალოვადიანი სამიზნე**	**საბოლოო სამიზნე**	**დადასტურების წყარო**
		წელი	2024	2026	2028	2030	საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზარდობის სამინისტროს ანგარიში
		მაჩვენებელი	9	10	12	13	
ამოცანის შედეგის	მაღალმთიან დასახლებებში		**საბაზისო**	**საშუალოვადიანი სამიზნე**	**საშუალოვადიანი სამიზნე**	**საბოლოო სამიზნე**	**დადასტურების წყარო**

ინდიკატორი 3.1.2	განახლებული სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების რაოდენობა	**წელი**	2025	2026	2028	2030	საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ანგარიში
		მაჩვენებელი	შესაბამისი საბაზისო მაჩვენებელი განისაზღვრება 2025 წელს	5	7	9	
ამოცანის შედეგის ინდიკატორი 3.1.3	მაღალმთიან დასახლებებში განახლებული ზოგადი საგანმანათლებლო დაწესებულებების პროცენტული წილი		**საბაზისო**	**საშუალოვადიანი სამიზნე**	**საშუალოვადიანი სამიზნე**	**საბოლოო სამიზნე**	**დადასტურების წყარო**
		წელი	2023	2026	2028	2030	საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზარდობის სამინისტროს ანგარიში
		მაჩვენებელი	60%	65%	70%	75%	
რისკი	ემიგრაციული პროცესების გამო სასკოლო და სკოლამდელი ასაკის მოსახლეობის, ასევე ახალგაზრდების შემცირება						
ამოცანა 3.2		პირველადი ჯანდაცვის განვითარება და სოციალურ სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება					
ამოცანის შედეგის ინდიკატორი 3.2.1	ამბულატორიული ვიზიტების რაოდენობა სოფლად ერთ სულზე		**საბაზისო**	**საშუალოვადიანი სამიზნე**	**საშუალოვადიანი სამიზნე**	**საბოლოო სამიზნე**	**დადასტურების წყარო**
		წელი	2024	2026	2028	2030	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან, დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ინფორმაცია
		მაჩვენებელი	0,89	0,94	1	1,1	
რისკი	ემიგრაციული პროცესების გამო ახალგაზრდების შემცირება						
ამოცანა 3.3		ტერიტორიული მარკეტინგის გზით მთაში ცხოვრებისა და მუშაობის პოპულარიზაცია					
ამოცანის შედეგის ინდიკატორი 3.3.1	მაღალმთიანი დასახლებების პოპულარიზაციის ხელშემწყობი მარკეტინგული აქტივობების რაოდენობა		**საბაზისო**	**საშუალოვადიანი სამიზნე**	**საშუალოვადიანი სამიზნე**	**საბოლოო სამიზნე**	**დადასტურების წყარო**
		წელი	2025	2026	2028	2030	საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ სხვადასხვა განმახორციელებელი უწყებისგან მიღებული ინფორმაცია
		მაჩვენებელი	შესაბამისი საბაზისო მაჩვენებელი განისაზღვრება 2025 წელს	6	8	12	

რისკი	სარეკლამო კონტენტის ხარისხი

8. დანართები:

დანართი №1 – ინდიკატორების პასპორტი

დანართი №2 – საჯარო კონსულტაციების ანგარიში